თარგმანი

ენდრიუ ჰეივუდი.

პოლიტიკა.

თავი 4 - დემოკრატია და ლეგიტიმაცია

„თუკი სხვა, უკვე ნაცად ხერხებს არ ჩავთვლით, დემოკრატია მმართველობის ყველაზე უვარგისი ფორმაა“.
უინსტონ ჩერჩილი, თემთა პალატაში წარმოთქმული სიტყვიდან (11 ნოემბერი, 1947)

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა სახელმწიფოები იძულებითი ძალაუფლების მონოპოლიით სარგებლობდნენ, ისინი მხოლოდ ძალის გამოყენებით იშვიათად არსებობენ. როგორც ჟან-ჟაკ რუსო ამბობდა, „ყველაზე ძლიერი საკმარისად ძლიერი არ არის, თუკი ის ძალას უფლებად, ხოლო მორჩილებას მოვალეობად არ აქცევს“. სწორედ ამიტომ, მმართველობის ყველა სისტემა ლეგიტიმაციას ან „სამართლიანობას“ ეძებს, რომელიც მას საშუალებას აძლევს მოქალაქეებისგან თანხმობა მოითხოვოს. ამდენად, ლეგიტიმაცია პოლიტიკური სტაბილურობის გასაღებია; ის რეჟიმის გადარჩენისა და წარმატების წყაროზე ნაკლებ მნიშვნელობას ნამდვილად არ ატარებს. თანამედროვე პოლიტიკაში, ლეგიტიმურობის შესახებ დებატები დემოკრატიის საკითხებში დომინირებს, რადგან „დემოკრატიული ლეგიტიმაცია“ ზოგჯერ განიხილება, როგორც ლეგიტიმაციის ერთადერთი მნიშვნელოვანი ფორმა. მიუხედავად ამისა, ლეგიტიმაციასა და დემოკრატიას შორის კავშირი შედარებით ახალ იდეას წარმოადგენს და ის კულტურულად სპეციფიკურია. XIX საუკუნემდე დემოკრატიას დამამცირებელი მნიშვნელობა ჰქონდა და ტერმინმა ვერა და ვერ მოიშორა „ბრბოს მმართველობაზე“ მიმანიშნებელი, დამაკნინებელი ელფერი. მიუხედავად ამისა, დღეს არსებობს გაგება, რომლის მიხედვითაც ჩვენ ყველანი დემოკრატები ვართ. ლიბერალები, კონსერვატორები, სოციალისტები, კომუნისტები, ანარქისტები და ფაშისტებიც კი აღიარებენ დემოკრატიის ღირებულებებს. მართლაც, მას შემდეგ, რაც XX საუკუნის ბოლოს ძირითად იდე-

ოლოგიურ სისტემებს ან დაბრკოლებები შეექმნათ ან დაინგრნენ, დემოკრატიის ალი კიდევ უფრო ძლიერად აგიზგიზდა. სოციალიზმის მიმზიდველობის მოძველებისა და კაპიტალიზმის დამსახურებების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების კვალდაკვალ დემოკრატია პოსტმოდერნულ პოლიტიკურ ლანდშაფტში ალბათ ერთადერთ სტაბილურ და მტკიცე პრინციპად რჩება.

საკვანძო საკითხები

- როგორ ინარჩუნებენ სახელმწიფოები ლეგიტიმურობას?
- თანამედროვე საზოგადოებები ლეგიტიმაციის კრიზისის წინაშე დგანან?
- რატომ არის პოლიტიკური ლეგიტიმაცია ხშირად დემოკრატიასთან დაკავშირებული?
- რა არის დემოკრატიული მმართველობის ძირითადი მახასიათებლები?
- დემოკრატიული მმართველობის რა მოდელები იქნა დაწინაურებული?
- როგორ მოქმედებენ დემოკრატიული სისტემები პრაქტიკაში?

ლეგიტიმაცია და პოლიტიკური სტაბილურობა

ლეგიტიმაციის, რეჟიმის კანონიერების ან მმართველობის სისტემის საკითხი ერთ-ერთ ყველაზე ძველ და ფუნდამენტურ პოლიტიკურ დებატებთან, პოლიტიკური ვალდებულების პრობლემასთანაა დაკავშირებული. რატომ უნდა იგრძნონ მოქალაქეებმა თავი ვალდებულად და ხელისუფლების უფლებამოსილება აღიარონ? ვალდებულები არიან თუ არა ისინი პატივი სცენ სახელმწიფოს და მის კანონებს დაემორჩილონ? თანამედროვე პოლიტიკურ დებატებში, ლეგიტიმაცია როგორც წესი, მორალური ვალდებულებების თვალსაზრისით ნაკლებად, ხოლო პოლიტიკური ქცევისა და რწმენის თვალსაზრისით უფროა გაგებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის არ ეხება კითხვას, თუ რატომ უნდა დაემორჩილოს ხალხი სახელმწიფოს, არამედ კითხვას, თუ რატომ ემორჩილებიან ისინი კონკრეტულ სახელმწიფოს ან მმართველობის სისტემას. რა პირობები ან პროცესები უწყობენ ხელს ხალხს, რათა მათ ხელისუფლება კანონიერად ცნონ? ეს საკითხი ფილოსოფი-

იდან სოციოლოგიაზე გადასვლას ასახავს, მაგრამ ის ასევე ლეგიტიმაციის ცნების სადავო ბუნებას უსვამს ხაზს.

ლეგიტიმურობა

(ლათ. Legitimare, რაც სიტყვა-სიტყვით „კანონიერად ცნობას“ ნიშნავს). ფართო გაგებით, იგი ძალაუფლებას ხელისუფლებად გარდაქმნის. უბრალოდ „კანონიერისგან“ ის იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი ხელისუფლების უპირობოდ პატივისცემას და მოქალაქეთა მხრიდან მის მორჩილებას არ გულისხმობს. პოლიტიკის თეორეტიკოსების თვალსაზრისით, სწორედ ლეგიტიმურობაა ის ზნეობრივი თუ რაციონალური პრინციპი, რომლის საფუძველზეც ხელისუფლებას უფლება აქვს მოქალაქეთაგან მორჩილება მოითხოვოს - შესაბამისად, ლეგიტიმურობის აღიარება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მორჩილების ფაქტი. ამავე დროს, ბევრი პოლიტოლოგი ლეგიტიმურობას სოციოლოგიური კუთხითაც განიხილავს: ანუ, მმართველობის ამა თუ იმ სისტემისთვის მხარდაჭერის მზადყოფნად - მიუხედავად იმის, თუ რა მეთოდებით იქნა იგი შექმნილი. ვებერის მიხედვით, ლეგიტიმურობა სწორედაც რომ კანონიერების შინაგან რწმენას, ასე ვთქვათ, მმართველის „მართვის უფლებას“ ნიშნავს.

ძალაუფლების ლეგიტიმაცია

ლეგიტიმურობის, როგორც სოციოლოგიური ფენომენის კვლევას, სათავე მაქს ვებერმა (იხ. გვ. 81) დაუდო. მას სურდა „ბატონობის სისტემა“ გარკვეულ კატეგორიებში მოექცია და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გამოევლინა ის საფუძველი, რასაც ლეგიტიმურობა ემყარებოდა. ამისთვის მან სამი იდეალური ტიპი (იხ. გვ. 18), ანუ კონცეპტუალური მოდელი შექმნა, რაც, მისი აზრით, პოლიტიკური მმართველობის უაღრესად რთული ბუნების ამოხსნაში უნდა დახმარებოდა. ეს იდეალური ტიპები ავტორიტეტის სამგვარ ხასიათს ააშკარავებენ:

- ტრადიციულს
- ქარიზმატულს
- კანონიერ-რაციონალურს

თითოეულ მათგანს პოლიტიკური ლეგიტიმაციის განსაკუთრებული წყარო ახასიათებს, ამდენად, განსხვავებული მიზეზიც, თუ რა-

ტომ უნდა დაემორჩილოს ხალხი კონკრეტულ რეჟიმს. კვლევის პროცესში ვებერი შეეცადა თავად საზოგადოების სახეცვლილების არსშიც გარკვეულიყო და შედარებით მარტივ, ტრადიციულ საზოგადოებებში არსებული ბატონობის სისტემები ინდუსტრიულ, უაღრესად ბიუროკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ, ტიპიურ მოდელებს შეადარა.

მაქს ვებერი (1864-1920)

გერმანელი პოლიტიკური ეკონომისტი და სოციოლოგი. იგი თანამედროვე სოციოლოგიის ფუძემდებლად ითვლება. სამეცნიერო მოღვაწეობისადმი იგი მეცნიერული, მიუკერძოებელი მიდგომის დამცველია და საზოგადოებრივად აქტიური ცნობიერების მნიშვნელობას უსვამდა ხაზს. უაღრესად ფართოა ვებერის ინტერესთა სფერო: იკვლევდა ისეთ განსხვავებულ საკითხებს, როგორიცაა საზოგადოების დანაწევრება, კანონმდებლობა, ძალაუფლების სტრუქტურა, თუ რელიგია. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მისმა ნაშრომებმა, „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“ (1902), „რელიგიის სოციოლოგია“ (1920) და „ეკონომიკა და საზოგადოება“ (1922).

ტრადიცია

ყველაფერი, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა (ადათ-წესები, ურთიერთობები, სოციალური თუ პოლიტიკური სისტემები, ღირებულებები, მრწამსი, და ა.შ.). ტრადიცია იმით განსხვავდება რეტროგრადობისგან, რომ უწყვეტ კავშირს ინარჩუნებს წარსულთან და „საათის უკან გადაწევას“ არ ცდილობს. ეს უწყვეტობა, ჩვეულებრივ, თაობათა კავშირადაა გაგებული, თუმცა სხვაობა ტრადიციულსა და უბრალოდ, შეჩვეულს შორის, ხშირად საკმაოდ ბუნდოვანია (იხ. გვ. 173). ეს ტერმინი აგრეთვე „ტრადიციული“ და „თანამედროვე“ საზოგადოების ურთიერთ-დასაპირისპირებლად იხმარება.

ვებერის პირველი ტიპის პოლიტიკური ლეგიტიმაცია დიდი ხნის განმავლობაში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს (იხ. გვ. 81) ეფუძნება. ფაქტობრივად, ტრადიციული ავტორიტეტი ლეგიტიმურად ითვლება, რადგან ის „მუდამ არსებობდა“: თავად ისტორია აძლევდა მას არსებობის უფლებას, როგორც წარსულ თაობათა დანატოვარ მემკვიდრეობას. როგორც წესი, ამგვარ ავტორიტეტს შეუვალი

კანონების წყება უმაგრებს ზურგს - დადგენილი და ეჭვმიუტანელი ადათები, რომელთაც გადახედვა არ სჭირდება, ვინაიდან „ესე ყოველი იმთავითვე ასე ყოფილა და ასე იქნება“. ტრადიციული ავტორიტეტის ყველაზე აშკარა გამოვლინება პატრიარქალურობაა, როცა ამა თუ იმ ტომსა თუ ოჯახში ბატონი ან მამა-მარჩენალია ყველაფრის თავი, ანდა გერონტოკრატია (უხუცესთა მმართველობა). ტრადიციული ავტორიტეტი მჭიდრო კავშირშია მმართველობისა და პრივილეგიების მემკვიდრეობით სისტემასთან, ანუ - დინასტიური მმართველობის იმგვარ შემთხვევებთან, რისი მაგალითებიც დრემდე გვხვდება საუდის არაბეთში, კუვეიტსა და მაროკოში. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში მონარქიას (იხ. გვ. 324) დღეს უკვე პირობითი მნიშვნელობა აქვს - მით უმეტეს, იმგვარი კონსტიტუციური ფორმით, რაც დღესდღეობით გაერთიანებულ სამეფოში, ბელგიაში, ჰოლანდიასა თუ ესპანეთში არსებობს - იგი მაინც ხელს უწყობს პოლიტიკური კულტურის დახვეწას და იმგვარი ღირებულებების შენარჩუნებას, როგორებიცაა მოწიწება, პატივისცემა და მოვალეობა.

ლეგიტიმური მმართველობის ვებერისეული მეორე ფორმა ქარიზმატულ ავტორიტეტს გულისხმობს და იგი ადამიანის პიროვნულ ხიბლს, ანუ „ქარიზმას“ (იხ. გვ. 82) ემყარება. ამგვარი ლიდერი - სტატუსის, თანამდებობის თუ საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად - უშუალოდ მიმართავს თავის მიმდევრებს - როგორც სახალხო გმირი თუ წმინდანი. მართალია, იმ ტიპის პოლიტიკური მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ დე გოლი, კენედი და ტეტჩერი, უეჭველად იმყარებდნენ ავტორიტეტს პიროვნული თვისებებისა და ხიბლის წყალობით, მათი ხელისუფლება მაინც არ შეიძლება ქარიზმატულ ლეგიტიმურობად ჩაითვალოს, რამდენადაც შესაბამისი ფორმალური იერარქიული თანამდებობებიც ეკავათ. ამ თვალსაზრისით, უფრო თვალნათელი მაგალითებია ნაპოლეონი, მუსოლინი, ჰიტლერი (იხ. გვ.46), აიათოლა ხომეინი (იხ. გვ.191), ფიდელ კასტრო და პოლკოვნიკი კადაფი.

ვებერის მიერ გამოვლენილი პოლიტიკური ლეგიტიმურობის მესამე ტიპი, ანუ კანონიერ-რაციონალური ავტორიტეტი (იხ. გვ. 335) ხელისუფლებას კანონების ნათლად და იურიდიულად ჩამოყალიბებულ

კოდექსთან აკავშირებს. ვებერის აზრით, ამგვარი ავტორიტეტი (იხ. გვ. 82) ხელისუფლების ტიპიური ფორმაა თანამედროვე სახელმწიფოთა დიდ უმრავლესობაში. საბოლოო ჯამში, პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა თუ მთავრობის წევრების ძალაუფლება დადგენილი, კონსტიტუციური ნორმებითაა განპირობებული, რაც განსაზღვრავს და ზღუდავს კიდეც ნებისმიერი ხელისუფალის ქმედებების არეალს. პოლიტიკური ლეგიტიმურობის ამ ტიპის უპირატესობა ტრადიციულ და ქარიზმატულ ავტორიტეტთან შედარებით არის ის, რომ ის მიმაგრებულია სამმართველოზე პიროვნების ნაცვლად, რაც ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და უსამართლობის გავრცელებას ამცირებს. მაშასადამე, კანონიერ-რაციონალური უფლებამოსილება შეზღუდულ მთავრობას ინარჩუნებს და, გარდა ამისა, შრომის რაციონალური გადანაწილების გზით ეფექტურობას უწყობს ხელს. ოღონდ ვებერი პოლიტიკური ლეგიტიმურობის ამ ტიპის უარყოფით მხარეებსაც ხედავს: მეტი ეფექტიანობის საზღაური შეიძლება განუპიროვნებელი სოციალური გარემო იქცეს, და როგორც წესი, ორგანიზების ბიუროკრატიული (იხ. გვ. 374) ფორმებიც საყოველთაოდ მისაღები გახდეს.

ქარიზმა

ქარიზმა, თავდაპირველად, საღვთისმეტყველო ცნება გახლდათ და „ღვთიურ მადლს“ აღნიშნავდა. სწორედ ის იყო იმ ძალაუფლების წყარო, რაც მაცხოვარმა საკუთარ მოწაფეებს გადასცა და იგივე ძალა მიეწერებოდათ წმინდანებს კათოლიკურ თეოლოგიაშიც. როგორც სოციო-პოლიტიკური ფენომენი, ქარიზმა „ხიბლსა“ თუ პიროვნულ მიმზიდველობას ნიშნავს, ანუ - სხვებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზით ლიდერის (იხ. გვ. 332) უნარის გამომჟღავნებას. შესაბამისად, ქარიზმატული ავტორიტეტიც ლამის მისტიურ საბურველში ეხვევა ხოლმე და არათუ მოწიწებასა და ემოციურ კეთილგანწყობას, ხშირად „გაღმერთების“ სურვილსაც კი ბადებს. თითქოს ბუნებრივ უნარად მიჩნეული, ქარიზმატულობა ყველა პოლიტიკური ლიდერისთვის აუცილებელი ატრიბუტია, და მის დახვეწას მუდმივად ცდილობენ პროპაგანდის, მჭევრმეტყველების, თავის დაჭერისა თუ სხვა ხერხებით.

ლეგიტიმურობის ტიპების ვებერისეული კლასიფიკაცია დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელობას, თუმცა გარკვეულ ფარგლებში. ის მაგალითად, ბევრს არაფერს გვეუბნება იმ გარემოებებზე, როცა არაპოპულარული პოლიტიკის თუ ლიდერის ან მთელი ხელისუფლების დისკრედიტაციის შემთხვევაში, ხელისუფლებას რეალური საფრთხე ემუქრება. როგორც ბითემმა (2013) აღნიშნა, თუ ლეგიტიმურობაში ვებერივით მხოლოდ „კანონიერებისადმი რწმენას“ დავინახავთ, ვერც მისი წარმომავლობის მიზეზებს ავხსნით. შესაბამისად, იმას თუ რა განაპირობებს ლეგიტიმურობას, უკვე ძალაუფლების მქონენი გადაწყვეტენ, მათ კი ყოველთვის ექნებათ შესაძლებლობა, სხვადასხვაგვარი პიარ-კამპანიების საშუალებით, საკუთარი ხელისუფლების კანონიერება გაამართლონ და დაასაბუთონ კიდეც. ბითემი ხელისუფლების კანონიერებას მხოლოდ სამი პირობის დაცვის შემთხვევაში აღიარებს: ჯერ ერთი, მმართველობა დადგენილ წეს-კანონებს უნდა მისდევდეს - სულერთია, დაწერილ კოდექსს თუ სიტყვიერ შეთანხმებებს. მეორეც, ეს წეს-კანონები სამართლიანად უნდა ცნონ როგორც მმართველმა, ისე მართულმა უმრავლესობამაც, და მესამე, ლეგიტიმურობა უნდა გამოვლინდეს მართულთა უპირობო თანხმობის სახით. აქ აშკარად ჩანს ლეგიტიმაციის პროცესის ორი მთავარი ნიშან-თვისება: არჩევნისა და პარტიული კონკურენციის არსებობა და კონსტიტუციური ნორმებით განსაზღვრული, ხალხისთვის სასურველი მმართველობის ფორმა.

ლეგიტიმაციის კრიზისები და რევოლუციები

ლეგიტიმურობის ვებერისაგან განსხვავებული მიდგომა ნეო-მარქსისტებს (იხ. გვ. 64) ეკუთვნით. ორთოდოქსი მარქსისტებისგან განსხვავებით, რომლებიც ლეგიტიმურობას არაფრად არ აგდებდნენ და „ბურჟუაზიულ მითად“ ნათლავდნენ, თანამედროვე მარქსისტები, ანტონიო გრამშის გავლენით (იხ. გვ.198) აღიარებენ, რომ კაპიტალიზმი, ნაწილობრივ მაინც, პოზიციებს პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფით ინარჩუნებს. ისეთმა ნეო-მარქსისტებმა, როგორებიც იურგენ ჰაბერმასი (იხ. გვ.83) და კლაუს ოფე არიან, ყურადღება არა მხოლოდ კლასობრივ სისტემაზე, არამედ იმ მექანიზმებზეც გაამახვილეს, რისი საშუალებითაც ლეგიტიმურობა მიიღწევა (დემოკრატიული პროცესი, პარტიული კონკურენცია, სოციალური დაცვისა და სხვა რეფორ-

მები). თავის ნაშრომში, *„ლეგიტიმაციის კრიზისი“* (1973) ჰაბერმასმა კაპიტალისტურ საზოგადოებებში არსებული იმ კრიზისული ტენდენციების მთელს სერიაზე მიუთითა, რაც პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებას მხოლოდ საერთო თანხმობის საფუძველზე საკმაოდ ართულებს. როგორც ის ამტკიცებდა, დაძაბულობის თავი და თავი იმ დაპირისპირებებსა და კონფლიქტებშია საძიებელი, რაც არსებობს ერთის მხრივ, კაპიტალისტური „მოხვეჭის ლოგიკასა“ და მეორეს მხრივ, იმ სახალხო ზეწოლას შორის, რასაც დემოკრატიული პოლიტიკა განაპირობებს. ამ პერსპექტივიდან ჩანს, რომ კაპიტალისტური ეკონომიკა დაუნდობელი გაფართოებისკენაა მიდრეკილი, რაც მოგების ძიებითაა განპირობებული. მიუხედავად ამისა, ლეგიტიმურობის ასაშენებლად პოლიტიკური და სოციალური უფლებების გაფართოება ასეთ სისტემებში გამათანაბრებელ ზეწოლას ასტიმულირებს. კერძოდ, დემოკრატიულმა პროცესმა სოციალური კეთილდღეობის მოთხოვნათა ესკალაცია და მოსახლეობის მონაწილეობის გაზრდა გამოიწვია. ჰაბერმასის შეხედულებით, კაპიტალისტურ დემოკრატიებს სოციალური უსაფრთხოების, კეთილდღეობის და კერძო მოგებაზე დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების მუდმივად დაკმაყოფილება არ შეუძლიათ. პოპულარული ზეწოლისთვის წინააღმდეგობის გაწევით ან ეკონომიკური კოლაფსის გარისკვით, ასეთ საზოგადოებებს ლეგიტიმურობის შენარჩუნება საკმაოდ გაუჭირდებათ.

იურგენ ჰაბერმასი (დაიბ. 1929 წ.)

გერმანელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი. ნაცისტურ ეპოქაში დაბადებულ ჰაბერმასზე მძაფრი შთაბეჭდილება ნიურნბერგის პროცესმა მოახდინა. ადორნოსა (1903-69) და ჰორკჰაიმერთან (1895-1973) სწავლის შემდეგ ჰაბერმასი კრიტიკული თეორიის „ფრანკფურტის სკოლის“ ახალი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახდა. მისი შრომები ისეთ დარგებს ეხება, როგორიცაა: შემეცნების თეორია (ეპისტემოლოგია), განვითარებული კაპიტალიზმის დინამიკა, რაციონალურობის ბუნება და დამოკიდებულება ფილოსოფიასა და სოციალურ მეცნიერებას შორის. 1970-იან წლებში ჰაბერმასი ორთოდოქსულ მარქსიზმს სცილდება და საკუთარ, „კომუნიკატიური ქმედების“ თეორიას აყალიბებს. ჰაბერმასის მთავარ ნაშრომთა შორისაა: „თე-

ორია და პრაქტიკა (1974), „გზა გონიერი საზოგადოებისაკენ“ (1970), „კომუნიკატიური დამაჯერებლობის თეორია“ (1988).

1970-იანი წლებიდან მსგავსი პრობლემა ხელისუფლების „გადატვირთვის“ ფორმით გამოვლინდა. ისეთი მწერლები, როგორებიც ენტონი კინგი (1975) და რიჩარდ როუზი (1980) არიან ამტკიცებდნენ, რომ მთავრობები მართვას საკმაოდ რთულ საქმედ მიიჩნევდნენ, რადგან ისინი გადაჭარბებულ მოთხოვნას ექვემდებარებოდნენ. ამგვარი რამ როგორც პოლიტიკოსების, ისე პოლიტიკური პარტიების გამო მოხდა, რადგან ისინი ძალაუფლების მოპოვების მოტივით ერთმანეთის ჯობნას ცდილობდნენ. დამატებით, ზეწოლის ჯგუფებმა დაუნდობელი და შეუთავსებელი მოთხოვნების დამსახურებით მთავრობას ალყა შემოარტყეს. მთავრობის უნარს, რათა მას მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა კორპორატიზმის (იხ. გვ.276) მომძლავრებამ შეუშალა ხელი, რომელმაც სახელმწიფო უწყებებსა და ორგანიზებულ ჯგუფებს შორის მზარდი ურთიერთდამოკიდებულება შექმნა. მიუხედავად ამისა, მაშინ როცა ნეო-მარქსისტებს სჯეროდათ, რომ 1970-იან წლებში გამოვლენილი „კრიზისის ტენდენციები“ კაპიტალისტური დემოკრატიების კონტროლის შესაძლებლობებს აღემატებოდა, გადატვირთვის თეორეტიკოსები, როგორც წესი, პოლიტიკური და იდეოლოგიური პრიორიტეტებიდან გადახვევას „დიდი“ მთავრობის მმართველობაზე უარის თქმით ცდილობდნენ.

მრავალი თვალსაზრისით, 1980-იანი წლებიდან ახალი მემარჯვენეების აღზევება შესაძლოა ჩაითვალოს, როგორც ლეგიტიმაციაზე, გადატვირთვაზე ან კრიზისზე პასუხი. **კეთილდღეობის სახელმწიფოს ფისკალური კრიზისის** მომძლავრების გავლენით, ახალი მემარჯვენეები იმ თეორიებისა და ღირებულებების ჩანაცვლებას ცდილობდნენ, რომლებიც ადრე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პროგრესულ გაფართოებას აკანონებდნენ. ამ თვალსაზრისით, ახალი მემარჯვენეობა „ჰეგემონურ პროექტს“ წარმოადგენდა, რომელიც ინდივიდუალური და საბაზრო ღირებულებებისა და თეორიების მიმართ კონკურენტული კომპლექტის ჩამოყალიბებას ცდილობდა. ეს საზოგადოებრივ ფილოსოფიას წარმოადგენდა, რომელიც ინდივიდუალიზმს განადიდებდა და „ძიძა სახელმწიფოს“ ცილს სწამებდა. ამ პროექტის წარმატებაზე ის

ფაქტი მეტყველებს, რომ ისეთმა განსხვავებულმა სახელმწიფოებმა, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, ავსტრალია და ახალი ზელანდია, სოციალისტურმა პარტიებმა საერთო მიზნები და ღირებულებები მოირგეს. ამგვარი მოცემულობით, პოლიტიკურმა კულტურამ, რომელიც ოდესღაც ხაზს სოციალურ სამართლიანობას, კეთილდღეობას და საჯარო პასუხისმგებლობას უსვამდა, ადგილი არჩევანს, მეწარმეობას, კონკურენციას და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას დაუთმო.

რატომ ხდება რევოლუციები?

რატომ იშლება რეჟიმები? უნდა გავიგოთ თუ არა რევოლუციები უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური თვალსაზრისით, თუ ისინი უფრო ღრმა ეკონომიკური ან სოციალური განვითარების ანარეკლს წარმოადგენენ? რევოლუციათა ურთიერთსაპირისპირო თეორიები მარქსისტებმა და არამარქსისტებმა განავითარეს. მარქსისტულ თეორიაში, რევოლუცია სოციალურ-ეკონომიკურ დონეზე არსებული წინააღმდეგობებიდან წარმოიქმნება. მარქსს (იხ. გვ.40) სჯეროდა, რომ რევოლუცია აღნიშნავს იმ წერტილს, როცა კლასთა ბრძოლა ღია კონფლიქტში გადაიზრდება და ერთი კლასი მეორეს დაამხობს და შეცვლის. საფრანგეთის რევოლუცია განიმარტებოდა, როგორც „ბურჟუაზიული“ რევოლუცია, ხოლო რუსეთის რევოლუცია მოგვიანებით განიხილებოდა, როგორც „პროლეტარული“, რომელიც ჯერ სოციალიზმს, საბოლოოდ კი სრულ კომუნიზმს დააკანონებდა. მიუხედავად ამისა, რევოლუციები მარქსის პროგნოზის მსგავსად არ განვითარდა. მარქსისტული რევოლუციები ხშირად უფრო სახელმწიფო გადატრიალებები იყო, ვიდრე პოპულარული რევოლუციები. რევოლუციის არამარქსისტული თეორიებიც განვითარდა. სისტემური თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ რევოლუციას პოლიტიკური სისტემის „დისბალანსი“ იწვევს, რასაც ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან საერთაშორისო ცვლილებები მოყვება. „მზარდი მოლოდინების რევოლუციის“ იდეა მიანიშნებს, რომ რევოლუციები ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური და სოციალური განვითარება მკვეთრადაა შებრუნებული, რაც პოპულარულ მოლოდინებსა და ხელისუფლების შესაძლებლობებს შორის უფსკრულს ქმნის. ამ თეორიის კლასიკური განცხადება ტედ გურის „Why

Men Rebel”-ში (1970) გვხვდება, რომელიც აჯანყებას „შედარებით დეპ-რივაციას“ უკავშირებს. რევოლუციის სოციალურ-სტრუქტურული თეორია გულისხმობს, რომ რეჟიმები, როგორც წესი რევოლუციას მაშინ ემორჩილებიან, როცა საერთაშორისო სისუსტისა და/ან საშინაო არაეფექტურობის გამო, ისინი პოლიტიკურ ნებას კარგავენ და ხელისუფლების შენარჩუნებას იძულებითი ძალის გამოყენებით ცდილობენ. თედა სკოკპოლმა (1979) საფრანგეთის, რუსეთისა და ჩინეთის რევოლუციათა აფეთქება სწორედ ამ თვალსაზრისით ახსნა, მაგრამ ის შესაძლოა ისეთ სწრაფ და ძირითადად უსისხლო რევოლუციებს მივაკუთვნოთ, როგორებიც 1989 წლის შემოდგომისა და ზამთრის აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური რეჟიმების დაშლა იყო.

კეთილდღეობის სახელმწიფოს ფისკალური კრიზისი: სახელმწიფოს ფინანსური კრიზისი მაშინ ხდება, როცა სოციალური ხარჯების გაფართოება რეცესიასა და საგადასახადო შემოსავლების შემცირებას ემთხვევა.

მიუხედავად ამისა, ლეგიტიმაციის კრიზისებს შესაძლოა უფრო დრამატული შედეგები მოჰყვეს. როდესაც რეჟიმის მხარდაჭერის შეფერხება საჯარო პოლიტიკაში კორექტირებას აღარ ექვემდებარება, ლეგიტიმაციამ შესაძლოა სრული კოლაფსი განიცადოს, რასაც რეპრესიები ან **რევოლუციები** მოჰყვება. მიუხედავად იმისა, რომ ევოლუციური ცვლილება, როგორც **რეფორმა,** ისე განიხილება, რევოლუცია ძირეულ ცვლილებებს გულისხმობს. რევოლუციებმა პოლიტიკური წესრიგი მთლიანად გადააკეთეს, რამაც როგორც წესი, წარსულთან მკვეთრი და ხშირად ძალადობრივი წყვეტა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციის გამომწვევ მიზეზებზე დიდი დებატები არსებობს, ეჭვგარეშეა, რომ რევოლუციამ თანამედროვე სამყაროს ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ამერიკის რევოლუციამ (1776) ბრიტანეთისგან დამოუკიდებელი, კონსტიტუციური რესპუბლიკის შექმნა გამოიწვია. საფრანგეთის რევოლუციამ (1789) მიზნად „თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის“ სახელით ძველი წესრიგის განადგურება დაისახა. რუსეთის, პირველმა „კომუნისტურმა“ რევოლუციამ (1917) XX საუკუნის რევოლუციებისთვის ერთგვარი მოდელი შექმნა. მაგალითად, ჩინეთის რევოლუცია (1949), კუბის რევოლუცია (1959), ვიეტნა-

მის რევოლუცია (1975) და ნიკარაგუის რევოლუცია (1979). აღმოსავლეთ ევროპის რევოლუციებმა (1989-91) რევოლუციასა და პოლიტიკური დემოკრატიის ძიებას შორის კავშირი აღადგინეს. მიუხედავად ამისა, რევოლუციური აღმავლობის იდეოლოგიური ხასიათი შესაძლოა შემდგომ განვითარებას არ შეესაბამებოდეს. ეს არაბული გაზაფხულის (2011) შემთხვევაში ჩანს (იხ. გვ. 87).

რევოლუცია: სახალხო აჯანყება, რომელიც ექსტრა-ლეგალურ მასობრივ ქმედებებს მოიცავს და მას ფუნდამენტური ცვლილებები (ცვლილება თავად პოლიტიკურ სისტემაში) მოაქვს.

რეფორმა: სისტემაში განხორციელებული ცვლილება, როგორც წესი, მშვიდობიანი და დამატებითი ზომებით; რეფორმა გაუმჯობესებას გულისხმობს.

დემოკრატიული ლეგიტიმაცია

თანამედროვე დისკუსიებში ლეგიტიმაციის შესახებ დომინირებს მისი ურთიერთობა დემოკრატიასთან, იმდენად, რამდენადაც დემოკრატიული ლეგიტიმაცია ახლა ფართოდ არის მიღებული, როგორც ლეგიტიმაციის ერთადერთი მნიშვნელოვანი ფორმა. მტკიცება იმის შესახებ, რომ პოლიტიკური ორგანიზაცია ლეგიტიმურია, შესაძლოა შინაგანად დაკავშირებული მის პრეტენზიასთან იყოს, რომ ის დემოკრატიულია. შემდეგი ძირითადი ნაწილი დემოკრატიული მმართველობის კონკურენტულ მოდელებს განიხილავს და მსჯელობს იმაზე, თუ როგორ მოქმედებს დემოკრატია პრაქტიკაში.

დემოკრატიამ შესაძლოა ლეგიტიმაციას სულ მცირე სამი გზით შეუწყოს ხელი. უპირველეს ყოვლისა, ის ამას **თანხმობის გზით** აკეთებს. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეები მართვაზე ცალსახად თანხმობას არ იძლევიან ისინი ამას ირიბად სწორედ მაშინ აკეთებენ, როდესაც პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობენ. ამ თვალსაზრისით, დემოკრატია ლეგიტიმაციას პოლიტიკური მონაწილეობის გაფართოებით, ხმის მიცემით, ინტერესთა ჯგუფში გაწევრიანებით ან საპროტესტო დემონსტრაციებში მონაწილეობით საძირკველს უმაგრებს. პოლიტიკური მონაწილეობა მთავრობასა და ხალხს აახლოებს, ხოლო ხალხი ამგვარად, პოლიტიკური თამაშის წესებს სამართლიანად თვლის და მათ ემორჩილება.

თანხმობა: თანხმობა ან ნებართვა; პოლიტიკაში, როგორც შეთანხმება მთავრობასა და საზოგადოებას შორის.

მეორეც, დემოკრატიული მმართველობის არსი კომპრომისის, შერიგებისა და მოლაპარაკების პროცესია, რომლის მეშვეობითაც დაპირისპირებული ინტერესთა ჯგუფები ძალადობისა და ძალაუფლების გამოყენების მაგივრად მშვიდობიანი თანაცხოვრების გზას ეძებენ. მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც კონფლიქტის არაძალადობრივი გადაწყვეტა ხდება, კერძოდ, არჩევნების, პარტიული კონკურენციის და დებატების მეშვეობით, ძალაუფლების გადანაწილებასა და ფართო საზოგადოებრივ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ. მესამე, დემოკრატია მოქმედებს, როგორც უკუკავშირის სისტემა, რომელიც გრძელვადიანი პოლიტიკური სტაბილურობისკენაა მიდრეკილი. ვინაიდან დემოკრატია უზრუნველყოფს მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც მთავრობათა გადაყენება და საჯარო პოლიტიკის ცვლილებაა შესაძლებელი, ის მოწოდებულია, რომ პოლიტიკურ სისტემაში არსებული „დისბალანსი“ მინიმუმამდე დაიყვანოს, რაც ლეგიტიმაციის კრიზისების ეფექტურად მართვისა და დაპირისპირების შემცირების შესაძლებლობას იძლევა.

მიუხედავად ამისა, ლეგიტიმაციასა და დემოკრატიას შორის არსებული შინაგანი კავშირი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მაგალითად, ზოგიერთი ამტკიცებს, რომ პოლიტიკური სტაბილურობის მაღალი დონე და სამოქალაქო დაპირისპირების დაბალი ხარისხი დემოკრატიულ საზოგადოებებში შესაძლოა უფრო დამაჯერებლად სხვა ფაქტორებით აიხსნას, ვიდრე დემოკრატიით. ეს მოიცავს იმ ფაქტს, რომ ძირითად მოწინავე კაპიტალისტურ ეკონომიკებში, დემოკრატიული საზოგადოებები ფართო კეთილდღეობით სარგებლობენ და „დოვლათის მიწოდებაში“ ეფექტურნი არიან. ეს ცნობილია, როგორც **ქცევითი ლეგიტიმაცია.** ამრიგად, დემოკრატიული ლეგიტიმაცია შესაძლოა ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე „კაპიტალისტური ლეგიტიმაცია“. შემდგომი ფაქტორი არის ისიც, რომ დემოკრატიული საზოგადოებები, როგორც წესი, როგორც ლიბერალურნი, ისე დემოკრატიულნიც არიან, ხოლო ლიბერალური დემოკრატია (იხ. გვ.89) მთელ მსოფლიოში დემოკრატიის დომინანტურ ფორმას წარმოადგენს. ლიბერალური საზოგადოებები პიროვნული თავისუფლებისთვის, თვითგამოხატვისა და

სოციალური მობილურობისთვის ფართო შესაძლებლობებს გვთავაზობენ, და ეს შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი ლეგიტიმაციის შესანარჩუნებლად იყოს.

ქცევითი ლეგიტიმაცია: რეჟიმის უნარი, საზოგადოებრივი აღიარება და სამართლიანობის განცდა ხელსაყრელი ეკონომიკური და სოციალური შედეგების მოპოვებით უზრუნველყოს.

დემოკრატია მომარაგებას ვერ უზრუნველყოფს?

მაშინაც კი, თუ დემოკრატიას ლეგიტიმაციის ხელშეწყობის მთავარ მექანიზმად დავასახელებთ, არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ მხრივ, შესაძლოა მისი ეფექტურობა შეფერხდეს. კერძოდ, განვითარებული დემოკრატიული საზოგადოებების მზარდი რაოდენობა, როგორც ჩანს, პოლიტიკურ იმედგაცრუებასა და უკმაყოფილებას განიცდის. ეს „დემოკრატიული სისუსტე", რასაც ზოგიერთი დემოკრატიის კრიზისად მიიჩნევს, ორი ძირითადი გზით გამოიხატა. პირველი, დამკვიდრებულ პოლიტიკური პროცესებთან დაკავშირებით პოპულარული გათიშვის ტენდენცია შეინიშნებოდა, რაც პოლიტიკური მონაწილეობის დონის შემცირებაში აისახა. ამგვარად, ბევრი განვითარებული დემოკრატია არჩევნებში აქტივობის კრიზისს განიცდიდა (ეს განვითარება უფრო დეტალურად მე-11 თავშია განხილული). მეორე, ახალი პოლიტიკური ძალები გამოჩნდნენ, რომლებთან თანამშრომლობაც გართულდა. ეს აშკარა იყო ისეთი პოლიტიკური ფიგურის შემთხვევაში, როგორიცაა დონალდ ტრამპი, ამასთანავე, ევროპის დიდ ნაწილში, ანტი-ისტებლიშმენტის მომხრე და პოპულისტური პარტიების, მოძრაობების სახით. მიუხედავად ამისა, დემოკრატიასა და პოპულიზმს (იხ. გვ. 53) შორის ურთიერთობა საკმაოდ რთული და სადავოა (იხ. გვ. 88).

არაბული გაზაფხული: რევოლუციის საწინააღმდეგო?

მოვლენა: „არაბული გაზაფხული" დემონსტრაციებისა და საპროტესტო აქციების ტალღა იყო, რომელმაც 2011 წელს ჩრდილოეთ აფრიკა და ახლო აღმოსავლეთის ნაწილი მოიცვა და ოთხი დიქტატორი დაამხო. პროცესი ტუნისის „ჟასმინის" რევოლუციით დაიწყო, რომლის დროსაც იანვრის დასაწყისში ანტისამთავრობო აქციების მზარდი ტალღა პოლიციური რეპრესიების შემთხვევათა გამო ნაციონალურ აჯ-

ანყებაში გადაიზარდა. 14 იანვარს პრეზიდენტი ბენ ალი ქვეყნიდან გაიქცა, რითაც მისი 23 წლიანი მმართველობა დასრულდა. 25 იანვარს ტუნისში მომხდარი მოვლენებით შთაგონებული ეგვიპტელი დემონსტრანტები ქუჩებში გამოვიდნენ და პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის გადაყენება მოითხოვეს. კაიროში ტაჰირის მოედანი საპროტესტო ცენტრად იქცა. 18 დღიანი საპროტესტო აქციების შემდეგ, 11 თებერვალს მუბარაქმა თანამდებობა დატოვა. ლიბიაში პრეზიდენტ მუამარ კადაფის 42 წლიანი მმართველობა 8 თვიანი სამოქალაქო ომით დასრულდა, რომელშიც მეამბოხე ძალებს ნატოს საჰაერო თავდასხმები უწყობდა ხელს. 22 ოქტომბერი და კადაფის სიკვდილი მისი რეჟიმის საბოლოო დაშლის ნიშანი გახდა. არაბულ სამყაროში სხვა მნიშვნელოვანი აჯანყებები მოხდა იემენში (სადაც 2011 წლის ნოემბერში პრეზიდენტი სალეჰი ძალაუფლებას ჩამოაშორეს), სირიაში (პრეზიდენტ ასადის წინააღმდეგ) და ბაჰრეინში.

მნიშვნელობა: არაბულმა გაზაფხულმა რევოლუციათა არაპროგნოზირებადობის დრამატული დემონსტრირება წარმოადგინა, რადგან ამ რევოლუციათა სრული შედეგების გარკვევას შესაძლოა წლები დასჭირდეს. არაბული გაზაფხულის თავდაპირველი ინტერპრეტაცია, ყოველ შემთხვევაში, დასავლელ კომენტატორებში იყო ის, რომ იგი ფართო რეგიონის ავტოკრატიიდან დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლის პირველ ეტაპს წარმოადგენდა. მოკლედ, არაბულ სამყაროს დემოკრატია უახლოვდებოდა. რა თქმა უნდა, სეკულარული მომიტინგეების ძირითადი მოთხოვნები დასავლური სტილის დემოკრატიული რეფორმების, თავისუფალი არჩევნების, კანონის უზენაესობისა და სამოქალაქო თავისუფლებების დაცვა იყო. გარდა ამისა, იქ, სადაც რეჟიმები დაინგრა, ამას ჩვეულებრივ თან თავისუფალი არჩევნების ჩატარების დაპირება ახლდა, როგორც ეს სათანადო წესით 2011 წლის ოქტომბერში ტუნისში და იმავე წლის ნოემბერ-დეკემბერში ეგვიპტეში მოხდა. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური სტაგნაციისა და კორუფციის გამო არაბული გაზაფხულის მომავალი გაურკვეველია, ტუნისი დემოკრატიული ტრანზიციის მოლოდინის გაცნობიერებასთან ყველაზე ახლოსაა. მაგალითად, 2014 წელს ძალაში ტუნისის ახალი კონსტიტუცია შევიდა, რომელმაც ადამიანის უფლებები და გენდე-

რული თანასწორობა გაზარდა, ამასთანავე, მან მმართველობის ახალ საპარლამენტო სისტემას ჩაუყარა საფუძველი. არჩევნები, რომელიც წლის ბოლოს ჩატარდა, ფართოდ ჩაითვალა, როგორც შედარებით თავისუფალი და სამართლიანი.

მიუხედავად ამისა, ახალშობილი დემოკრატიული რევოლუცია სხვა ქვეყნებში უკუსვლით განვითარდა. მაგალითად, ეგვიპტეში მუბარაქის დამხობამ მუსლიმთა საძმოსა და ამბოხებულ შეიარაღებულ ძალებს შორის ძალაუფლებისთვის სასტიკი ბრძოლა გამოიწვია. ეს დაპირისპირება საბოლოოდ 2014 წელს მოგვარდა, როდესაც მუჰამედ მურსი, რომელიც 2012 წლის ივნისში მუსლიმთა საძმოს მხარდაჭერით პრეზიდენტად აირჩიეს, სამხედრო გადატრიალების შედეგად ჩამოაგდეს. ახალ პრეზიდენტად გენერალ ალ-სისის დანიშვნამ ეგვიპტეში არაბული გაზაფხულის ეფექტური დასასრული აღნიშნა. ლიბიის შემთხვევაში, კადაფის ჩამოგდებას პოსტრევოლუციურ ქაოსში და დაბნეულობაში ჩავარდნა მოჰყვა, რომელშიც ძალაუფლებისთვის ადგილობრივი მეომრები, უცხოური ტერორისტული ჯგუფები და კადაფის რეჟიმის ელემენტები იბრძოდნენ. არაბული გაზაფხულის ყველაზე ღრმა და შემაშფოთებელი შედეგები სირიაში იგრძნობოდა. სირიაში კონფლიქტი მას შემდეგ სწრაფად გამწვავდა, რაც ასადის რეჟიმის წინააღმდეგ დემონსტრაციების ჩასახშობად სირიის არმია გამოიყენეს, რაც დაუნდობელ სამოქალაქო ომში გადაიზარდა და მას ასობით ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ეს მოვლენები ავტორიტარიზმის გრძელვადიან მდგრადობაზე მეტყველებენ, როცა პოპულარული დემონსტრაციები „ძველი“ ინსტიტუციური საყრდენების განდევნას ვერ ახერხებენ. ზოგჯერ არაპოპულარული მთავრობის გადასარჩენად უცხო ძალები ერევიან, მაგალითად ასე მოხდა სირიაში და ირანში.

არის თუ არა პოპულიზმი დემოკრატიული ძალა?

პოპულიზმისა და დემოკრატიის ურთიერთობა დებატებითა და დაპირისპირებითაა გარშემორტყმული. ერთი პერსპექტივიდან, პოპულიზმს არსებითად დემოკრატიული ხასიათი აქვს, რაც გამოიხატება იმაში, რომ როგორც პოპულიზმი, ასევე დემოკრატია მხარს სახალხო სუვერენიტეტისა და უმრავლესობის მმართველობის პრინციპებს უჭერს. ზოგიერთი, მართლაც ამტკიცებს, რომ პოპულიზმი მოქმედებს,

როგორც დემოკრატიის მაკორექტირებელი საშუალება, რადგან ის იმ ჯგუფებს ემსახურება, რომლებიც კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების პროცესისგან თავს გარიყულად გრძნობენ. ამიტომაა, რომ პოპულისტური აღმავლობა, როგორც წესი, იმ დისფუნქციური დემოკრატიული სისტემების კონტექსტში ხდება, რომლებიც რაიმე მიზეზით, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ხმას ვერ აძლევენ.

მიუხედავად ამისა, ძნელია იმის უარყოფა, რომ პოპულიზმი დემოკრატიის ლიბერალურ მოდელს ეწინააღმდეგება. ეს იმიტომ, რომ პოპულისტური მტკიცება, თითქოს საზოგადოების ინსტინქტები და სურვილები პოლიტიკური მოქმედების ერთადერთ ლეგიტიმურ გზამკვლევს შეადგენენ და რომ ხალხის ნების წინააღმდეგ არავინ უნდა იმოქმედოს, საკმაო გავლენას იძენს. ამიტომ პოპულისტები ლიბერალური დემოკრატიის „ლიბერალურ“ ასპექტებს ნაკლებად სცემენ პატივს.

ბოლოს, პოპულიზმი დემოკრატიისთვის უბრალოდ განიხილება, როგორც საფრთხე. პოპულიზმის არადემოკრატიული მხარე მისი მონისტური ბუნებიდან გამომდინარეობს, „წმინდა ხალხად“ ერთიანი, ჰომოგენური გაერთიანება აღიქმება. ეს ნიშნავს იმას, რომ პოპულისტები პლურალიზმს ყოველთვის ეწინააღმდეგებიან, ამიტომ ისინი თავიანთი ოპონენტების ლეგიტიმურობის უარყოფისკენ არიან მიდრეკილნი. მეტიც, პოპულისტები, საუკეთესო შემთხვევაში, ყალბი დემოკრატები არიან, რადგან იმის ნაცვლად, რომ ხალხს ნება მისცენ საკუთარი აზრი გამოთქვან, ისინი როგორც წესი, ხელმძღვანელობით ნიჭს ეყრდნობიან, რათა საზოგადოების „ნამდვილი“ ინტერესები წარმოაჩინონ. ამგვარი მოცემულობა ორგვარ საფრთხეს შეიცავს, პოპულისტმა ლიდერებმა შესაძლოა ხალხი საკუთარი თავით შეცვალონ, რაც პოპულიზმსა და ფაშიზმის „ლიდერობის პრინციპს“ შორის პარალელებს უსვამს ხაზს. (განხილულია, მე-14 თავში).

როგორ და რატომ დაემორჩილნენ დემოკრატიული საზოგადოებები პოპულიზმის აღმავლობას? ლეგიტიმაციის მიღწევაში დემოკრატიის ტრადიციული წარმატება დაკავშირებული იყო მის უნართან, როგორც ძალაუფლების განაწილების მექანიზმთან, რათა ყველა ინდივიდსა და ჯგუფს პოლიტიკური ხმის მიცემის უფლება ჰქონოდა.

ამგვარად, დემოკრატია, როგორც არსებითად ეგალიტარული ძალა, კაპიტალიზმის უთანასწორობისკენ მიდრეკილ ტენდენციას ეწინააღმდეგებოდა. ეს, პრაქტიკაში, სოციალური დაცვის სისტემის აგებით იქნა მიღწეული, რაც სიღარიბისა და სხვა სახის გაჭირვების შემსუბუქებას ისახავს მიზნად.

მიუხედავად ამისა, იმ პროცესში, რომელიც XX საუკუნის ბოლო ათწლეულში დაიწყო და 2007-09 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ უფრო მწვავე გახდა, დემოკრატიის ლეგიტიმურობის გენერირების უნარი იმ განვითარებასთან იქნა დათმობილი, რომლის დამსახურებითაც საზოგადოების მზარმა ნაწილმა თავი პოლიტიკურად გარიყულად იგრძნო. ამიტომ ადამიანებს სჯერათ, რომ ხელშეკრულებაზე დაფუძნებული დემოკრატიული სისტემა მათთვის არ მუშაობს. მოვლენათა შორის მთავარი ნეოლიბერალიზმისკენ სვლა (იხ. გვ.163) და გლობალიზაციის წინსვლა (იხ. გვ.161) გახლდათ. დემოკრატიაზე ნეოლიბერალიზმს რთული გავლენა ჰქონდა, იმით, რომ ცვლილებამ, რომლის ხელშეწყობასაც ის ცდილობს, სახელმწიფოსგან დაშორებით და ბაზრის სასარგებლოდ - ჩვეულებრივ, მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრულის გაფართოება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ გადასახადების შემცირებამ და ფინანსურმა დერეგულაციამ ძირითადად, სარგებელი კეთილდღეობის მქონე ადამიანებს მოუტანა, კეთილდღეობის უზრუნველყოფის უკანდახევამ ნაკლებად შეძლებული ადამიანები რთულ დღეში ჩააყენა. ნეოლიბერალიზმის გამოჩენამ, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, უფრო მეტი თანასწორობისკენ არსებული ტენდენცია 1945 წლის შემდგომ შეცვალა.

ლიბერალური დემოკრატია

ლიბერალური დემოკრატია პოლიტიკური რეჟიმია, რომელშიც შეზღუდული ხელისუფლებისადმი „ლიბერალური“ ვალდებულება „დემოკრატიულ“ რწმენასთანაა შერწყმული. მისი ძირითადი მახასიათებლებია: 1. მმართველობის უფლება რეგულარულ და კონკურენტულ არჩევნებში წარმატებით, საყოველთაო ხმის მიცემის საფუძველზე მოპოვებული; 2. მთავრობაზე კონსტიტუციით დაწესებული შეზღუდვები, ინსტიტუციური კონტროლი და წონასწორობა, ინდივიდებისა და უმცირესობების უფლებების დაცვა; 3. ძლიერი სამოქალაქო სა-

ზოგადოება, მათ შორის კერძო საწარმოების ეკონომიკა. დამოუკიდებელი პროფკავშირები და თავისუფალი პრესა. ტერმინები ლიბერალური და პლურალისტური დემოკრატია ხშირად ურთიერთშენაცვლებით გამოიყენება (იხ. გვ. 102).

რაც შეეხება გლობალიზაციას, დემოკრატიული სისტემის დესტაბილიზაციისკენ არსებული მისი ტენდენცია, ნაწილობრივ მთავრობათა შემცირებული შესაძლებლობებიდან გამომდინარეობს, რათა მათ თავიანთი „უსაზღვრო“ ეკონომიკები გააკონტროლონ. დემოკრატიის პრობლემა არის ის, რომ ისინი, ვინც ახალ სამყაროში გაძლიერებული უცხოური კონკურენციის, ტრანსნაციონალური წარმოების, გაზრდილი მიგრაციული ნაკადების და, ზოგჯერ, გლობალური ვარდნის პირობებში დამარცხდნენ, ძნელად ხელმისაწვდომნი არიან, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ პოლიტიკური პროცესები ელიტის ან ისტებლიშმენტის ინტერესების სასარგებლოდ არიან მიკერძოებულნი. ამრიგად, ეს მათ სხვა პოლიტიკური ხმებისა და გზავნილების მიმართ მგრძნობიარეს ხდის.

არადემოკრატიული ლეგიტიმაცია

თუკი დემოკრატია ლეგიტიმურობის ერთადერთ ნამდვილ საფუძვლად ჩაითვლება, ეს ნიშნავს, რომ არადემოკრატიული რეჟიმები, თავისი ბუნებით, არალეგიტიმურია. მიუხედავად ამისა, მრავალი ათწლეულის განმავლობაში ზოგიერთი ავტორიტარული რეჟიმი მასობრივი პოლიტიკური უკმაყოფილების შედარებით ნაკლები მტკიცებულებებით და ნაკლებად შეთანხმებული ოპოზიციით ცოცხლობს. ცხადია, ეს დიდწილად იძულებისა და რეპრესიების გამოყენებით აიხსნება, შიში თანხმობის ნაცვლად არის ძირითადი საშუალება, რომლის დახმარებითაც მოქალაქეებს მოუწოდებენ სახელმწიფოს დაემორჩილონ. მიუხედავად ამისა, არადემოკრატიული რეჟიმები ძალაუფლების კონსოლიდაციას მხოლოდ იძულების გზით იშვიათად ცდილობენ. ისინი, როგორც წესი, ორმხრივ მიდგომას იყენებენ, რომლის დროსაც პოლიტიკური კონტროლი ლეგიტიმურობის პრეტენზიებთან ერთად ხორციელდება. მაგრამ, დემოკრატიის არარსებობის პირობებში, ლეგიტიმაციის რა საშუალებებია ხელმისაწვდომი ასეთი რეჟიმებისთვის?

როგორც წესი, არადემოკრატიული ლეგიტიმაციის სამი ძირითადი ფორმა გამოიყენება. პირველი, არჩევნები, თუმცა ერთპარტიული, ზოგჯერ არაკონკურენტული ან „გაყალბებული“, რეჟიმისთვის დემოკრატიული ფასადის მისაცემად, რაც ხალხის მხარდაჭერის შთაბეჭდილების შექმნასა და რეჟიმის რიტუალიზებულ მიღებას უწყობს ხელს. ამგვარი ლეგიტიმაციის მექანიზმი ნაცისტურ გერმანიასა და ფაშისტურ იტალიაში, ასევე აფრიკის ერთპარტიულ სახელმწიფოებსა და კომუნისტურ რეჟიმებში გამოიყენებოდა. მეორე, არადემოკრატიული რეჟიმები პოლიტიკური უფლებების ნაკლებობის კომპენსირებას ქცევითი ლეგიტიმაციის გზით ცდილობდნენ, რაც მათ შესაძლებლობებს ეფუძნება, რათა ცხოვრების დონის ამაღლება, საზოგადოებრივი წესრიგი, გაუმჯობესებული განათლება, ჯანდაცვა და სხვა საკითხები უზრუნველყონ. ამგვარად, კომუნისტური რეჟიმები თავიანთი მოქალაქეებისთვის სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის პაკეტის მიწოდებას უსვამენ ხაზს, სტრატეგიას, რომელსაც ჩინეთი მაღალი და მდგრადი ეკონომიკური ზრდით გამოიმუშავებს. მართლაც, ზოგიერთი ამტკიცებს, რომ არადემოკრატიული რეჟიმები შესაძლოა დემოკრატიულ რეჟიმებთან შედარებით უპირატესობებით სარგებლობდნენ, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მათ შეუძლიათ ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის ძირითადი პროექტები განახორციელონ. მესამე, იდეოლოგიური ლეგიტიმაცია გამოყენებულ იქნა, როგორც ლიდერების, სამხედროების, პარტიის მმართველობის დაცვის ან უფრო ფართო პრინციპების ჩამოყალიბების მიზნით. მაგალითად, 1952 წლის გადატრიალების შემდეგ, გამალ აბდელ ნასერის მიერ ეგვიპტელი სამხედროების წარმოჩენა, როგორც „რევოლუციის ავანგარდი“ და 1969 წელს ლიბიაში პოლკოვნიკ კადაფის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ „მწვანე რევოლუციის“ გამოცხადება. მაგალითებად გამოდგება კომუნისტურ სახელმწიფოებში მარქსიზმ-ლენინიზმზე აქცენტირება და საუდის არაბეთში მონარქიული მმართველობის მხარდასაჭერად ვაჰაბიზმის გამოყენება. მიუხედავად ამისა, როცა ასეთი სტრატეგიები წარუმატებელია, ლეგიტიმაციის ყოველგვარი სახე ორთქლდება და არადემოკრატიული რეჟიმები იძულებულნი არიან ან გადარჩენის დრაკონულ საშუალებებს მიმართონ ან სახალხო აჯანყებების გამო ჩამოიშალნონ.

დემოკრატია

დემოკრატიის განსაზღვრება

დემოკრატიის სათავეები ანტიკურ საბერძნეთშია საძიებელი. „კრატიაზე“ დამთავრებული ნებისმიერი ცნებისა არ იყოს, (ავტოკ-რატია, არისტოკრატია, ბიუროკრატია და სხვ. მრავალი) დემოკრატიაც ბერძნული Kratos-იდან მომდინარეობს, რაც თავის მხრივ, ძალას ან მართვას ნიშნავს. ამრიგად, „დემოკრატია“ ითარგმნება როგორც დემო-სის მმართველობა (demos – „ხალხს“ აღნიშნავს, თუმცა თავად ძველი ბერძნები ამ სიტყვით „ღარიბებს“ ან „მრავალთ“ მოიხსენიებდნენ). ასეა თუ ისე, თავისთავად „ხალხის მმართველობა“ ბევრს არაფერს გვეუბ-ნება - ეს ცნება ყველას თავისებურად ესმის, რაც მის პოლიტიკურ კონ-ცეფციად გამოყენებას უკიდურესად ართულებს. ლამის უკამათოდ მისი „კარგ რამედ“ აღიარებამ დემოკრატია ერთგვარ შემახილად აქცია, ბრმა აღტაცების გამოსახატავად ამა თუ იმ იდეებისა თუ მმართვე-ლობის ფორმის მიმართ. ბერნარდ კრიკის (2000) ნათქვამი რომ მოვიშ-ველიოთ: „დემოკრატია ალბათ ყველაზე მიმზიდველი სიტყვაა საზო-გადოებრივ ურთიერთობათა ლექსიკონში“. ხოლო როცა სიტყვა ნების-მიერი ადამიანისთვის ნებისმიერ რამეს შეიძლება ნიშნავდეს, არსებობს საფრთხე, რომ მან საერთოდ დაკარგოს აზრი. იმ მრავალთა შორის, რასაც კი დემოკრატიას მიაწერენ, შემდეგი ნიშან-თვისებებია საგული-სხმო:

- ღარიბთა და უპოვართა მმართველობა
- მმართველობის იმგვარი ფორმა, როცა ხალხი პირდაპირ და უწყვეტად მართავს საკუთარ თავს - პროფესიონალი პოლიტიკოსე-ბისა და სახელმწიფო მოხელეთა დაუხმარებლად
- თანაბარ შესაძლებლობებსა და პიროვნულ უნარს დაყრდ-ნობილი საზოგადოება, სადაც იერარქიისა და პრივილეგიების ადგი-ლი არაა
- სოციალური უთანასწორობის შესამცირებლად გამიზნული, კეთილდღეობის მიღწევისა და გადანაწილების ერთგვარი სისტემა
- გადაწყვეტილებათა მიღების იმგვარი წესი, რაც უმრავლე-სობის მმართველობას ეფუძნება

- უმრავლესობის ძალაუფლებაზე კონტროლის განმახორციელებელი, უმცირესობის უფლებებისა და ინტერესების უზრუნველმყოფელი სისტემა
- საჯარო მოხელეთა არჩევა ამომრჩეველთა ხმების მოპოვების გზით
- მმართველობის სისტემა, რომელიც ადამიანთა ინტერესებს ემსახურება იმისდა მიუხედავად, მონაწილეობენ თუ არა ისინი პოლიტიკურ ცხოვრებაში

მაგრამ ყველაზე უპრიანი გასახსენებელი, ალბათ მაინც აბრაამ ლინკოლნისეული „გეტისბურგის მიმართვაა“ (1863 წ.) - გაგანია სამოქალაქო ომის დროს რომ წარმოთქვა და დემოკრატიის უმთავრეს ღირსებად დაასახელა „ხალხის მმართველობა, ხალხისვე მიერ, და ისევ ხალხის საკეთილდღეოდ“. ამ შემთხვევაში აშკარაა მმართველებისა და ხალხის ურთიერთკავშირი. დემოკრატიული მმართველობის არსის განსაზღვრა გაცხოველებული იდეოლოგიური და პოლიტიკური განსჯის საგნად მუდამ რჩებოდა. ეს ნაწილი ამ კავშირების შედეგებს სამი კითხვის გათვალისწინებით იკვლევს. რას ნიშნავს ხალხი? რას ნიშნავს სახალხო მმართველობა? და სად გადის „ხალხის ძალაუფლების“ ზღვარი?

რას ნიშნავს ხალხი?

დემოკრატიის ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისებათაგანია პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა - ძალაუფლების რაც შეიძლება ფართოდ და თანაბრად განაწილების პრინციპი; თუმცა, ჩნდება კითხვა - რა ინსტიტუტებსა და ჯგუფებს შორის უნდა მოხდეს ეს განაწილება? ანუ, ბოლოსდაბოლოს ვინაა „ხალხი“? ერთი შეხედვით, პასუხი მარტივია - „დემოსი“ ანუ ხალხი, „ყველა ადამიანის“ ერთობლიობას - ქვეყნის მთელ მოსახლეობას ნიშნავს. არადა, ნებისმიერი დემოკრატიული სისტემა ზღუდავდა მმართველობაში (განურჩევლად ყველა ადამიანისა) პოლიტიკურ მონაწილეობას და ზოგჯერ, ძალიან მკაცრადაც.

პოლიტიკური თანასწორობა

ზოგადად, პოლიტიკური თანასწორობა პოლიტიკური ძალაუფლებისა და გავლენის თანაბრად გადანაწილებას ნიშნავს. ამდენად, იგი შესაძლოა, დემოკრატიის უმთავრეს პრინციპად მივიჩნიოთ, როგორც

არ უნდა განვმარტოთ ცნება „ხალხი“, ნებისმიერ პიროვნებას მაინც ერთნაირი წონა აქვს - ყველას ხმა თანაბრად ფასობს. ამის გაგება ორი გზით შეიძლება. ლიბერალურ-დემოკრატიულ თეორიაში პოლიტიკური თანასწორობა პოლიტიკური უფლებების თანაბარ განაწილებას გულისხმობს: ხმის მიცემას, არჩევნებში მონაწილეობის უფლებას და ა.შ. ამის საპირისპიროდ, სოციალისტები პოლიტიკურ გავლენას ეკონომიკური რესურსების კონტროლსა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ხელმისაწვდომობას უკავშირებენ.

როგორც ვთქვით, ძველი ბერძენი ავტორები სიტყვა *დემოსს* ხშირად „მრავალთა“ მნიშვნელობითაც მოიხმარდნენ, ანუ დაჩაგრულთა და როგორც წესი, უქონელ უმრავლესობასთან დაკავშირებით. ამდენად, დემოკრატია პოლიტიკურ თანასწორობას კი არა, ღარიბთა მიმართ დამოკიდებულებას გულისხმობდა. ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში პოლიტიკური აქტივობა მოსახლეობის მხოლოდ შეზღუდული რაოდენობისთვის იყო დაშვებული - 20 წელს გადაცილებულ, მოქალაქეობის უფლების მქონე მამაკაცებისთვის, მაშინ როცა ყველა ქალს, მონებს და უცხოტომელებს ამის უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ. არჩევნებში მონაწილეობის თვალსაზრისით, მკაცრი შეზღუდვები არსებობდა დასავლეთის სახელმწიფოებშიც - თვით XX საუკუნის ჩათვლით: ჩვეულებრივ, ქონებრივი ცენზის დაწესებისა და ქალთა უფლებების შეკვეცის სახით. მაგალითად, საყოველთაო საარჩევნო უფლება დიდ ბრიტანეთში მხოლოდ 1928 წლიდან შემოიღეს, როცა ქალებისა და მამაკაცების საარჩევნო უფლებები გათანაბრდა; ა.შ.შ.-ში აფრო-ამერიკელებს ბევრ სამხრეთულ შტატში ხმის მიცემა 1960 წლამდე აკრძალული ჰქონდათ, შვეიცარიაში კი სულაც 1971 წელს მიუშვეს ქალები საარჩევნო ურნებთან. სხვათა შორის, ყველა დემოკრატიულ სისტემაში ჯერაც არსებობს მნიშვნელოვანი შეზღუდვები: მაგალითად, ბავშვებს პოლიტიკურ ცხოვრებას არ აკარებენ - თუმცა ასაკობრივი შეზღუდვები 21-დან 15 წლამდე მერყეობს (ვთქვათ, ირანის საპრეზიდენტო არჩევნებში სწორედ ამ ასაკიდან შეუძლიათ ხმის მიცემა); არსებობს სხვა, ტექნიკური ხასიათის შეზღუდვებიც - სულით ავადმყოფთათვის და პატიმრებისათვის.

დღესდღეობით „ხალხი“ პრაქტიკულად მთელ ზრდასრულ მოსახლეობას მოიცავს, ოღონდ არც ეს გაგებაა საყოველთაო და ამომწურავი: ხალხი ერთიან, მთლიან, საერთო ინტერესებით შეკავშირებულ ორგანიზმადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ. ამ კუთხით დანახული დემოკრატიის მოდელი, რუსოს (იხ. გვ. 98) თეორიის მსგავსად, ყურადღებას „საზოგადო“, ანუ „კოლექტიურ ნებაზე“ ამახვილებს, და არა ცალკეული პიროვნების კერძო ინტერესებზე. მეორეს მხრივ, რამდენადაც დაყოფა და უთანხმოება ადამიანთა ნებისმიერ ერთობას ახასიათებს, სინამდვილეში „ხალხი“ შეიძლება მხოლოდ „უმრავლესობასაც“ კი აღნიშნავდეს. ასეთ დროს, დემოკრატია **უმრავლესობის მმართველობის** მკაცრი პრინციპის ერთგული ხდება და გამორიცხული არაა, „უმრავლესობის ტირანიის“ მახინჯ გამოვლინებადაც გარდაიქმნას; და ბოლოს, ისეთ საკითხსაც ვერ ავუვლით გვერდს, როგორიცაა - ხალხის რა რაოდენობა უნდა მოიცვას ჭეშმარიტად დემოკრატიულმა პოლიტიკამ? პოლიტიკური ნაციონალიზმის ძლევამოსილების გამო, „ხალხის“ რაობა ხომ, ჩვეულებრივ, ეროვნული ნიშნით განისაზღვრება ხოლმე - ამ ბოლო დროს კი, გლობალიზაციის (იხ. გვ. 161) გავლენით, უკვე **კოსმოპოლიტური დემოკრატიის** (თავის ბოლო ნაწილშია განხილული) ცნებაც საკუთარ უფლებებს აცხადებს.

უმრავლესობის მმართველობა: პრინციპი, რომლის თანახმადაც უმრავლესობის ან რიცხობრივი უპირატესობის მქონე ჯგუფის ნებას ენიჭება უპირატესობა - უმცირესობის ნებასთან შედარებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელთ მოუწევთ უმრავლესობის ნებას დაეთანხმონ.

კოსმოპოლიტური დემოკრატია: დემოკრატიის ისეთი ფორმა, რომელიც მმართველობის ზესახელმწიფოებრივ დონეზე ოპერირებს და ტრანსეროვნული და გლობალური მოქალაქეობის იდეას ეფუძნება.

რას ნიშნავს სახალხო მმართველობა?

დემოკრატიის თითქმის ყველანაირი გაგება „სახალხო მმართველობის“ პრინციპს ეყრდნობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანები რეალურად, თავიდანვე არიან მმართველობის წყარო - უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებაშიც მონაწილეობენ და საკუთარი საზოგადოებების ავ-კარგიანობასაც განაპირობებენ. ეს სხვადასხვა სახით

გამოიხატება: პირდაპირი დემოკრატიის შემთხვევაში, სახალხო მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღებაზე პირდაპირი და მუდმივი ზემოქმედებით იჩენს თავს - რეფერენდუმების (იხ. გვ. 223), მასობრივი მიტინგების, თუ „ცოცხალ ეთერში“ ტელეგამოკითხვების სახით; განსხვავებული და უფრო გავრცელებული ფორმაა ხმის მიცემა - ე.წ. „წარმომადგენლობითი დემოკრატიის“ უმთავრესი ნიშანი. ხმის მიცემისას მოქალაქეები არა იმდენად მათი ცხოვრების მოსაწყობად აუცილებელ გადაწყვეტილებებს იღებენ, რამდენადაც საკუთარ რჩეულებს ანდობენ ამ საქმის მოგვარებას; ოღონდაც არჩევნების დემოკრატიულობა იმით განისაზღვრება, რომ საყოველთაოდ მიღებული „შეჯიბრის“ პირობებში, ადამიანებს უღირსთა გამოხშირვა და პოლიტიკოსთა იძულება შეუძლიათ, რათა მათ საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულად იგრძნონ თავი.

არსებობს ისეთი მოდელებიც, რომლებიც ხალხისთვის მმართველობის პრინციპს იშველიებენ, ოღონდ ძალიან ცოტა ადგილს უტოვებენ საზოგადოებას მართვაში პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილეობისთვის. ამის ყველაზე გროტესკული მაგალითებია ფაშისტი დიქტატორების - მუსოლინისა და ჰიტლერის ე.წ. **ტოტალიტარული დემოკრატიები.** მსგავსი რეჟიმების დემოკრატიული შემადგენელი იმ განცხადებას ემყარებოდა, თითქოსდა ბელადი და სხვა არავინ ხალხის სანუკვარ ნებას გამოხატავდა, რაც „ჭეშმარიტ დემოკრატიას“ ფაქტიურად, აბსოლუტურ დიქტატურასთან აიგივებდა. ასეთ დროს, სახალხო მმართველობა სხვა არაფერია, თუ არა ყოვლისშემძლე ბელადის ნების რიტუალიზებული მორჩილება - მრავალრიცხოვანი, ხმაურიანი ზეიმებით, ღონისძიებებითა და მსვლელობებით. ამას ზოგჯერ პლებისციტურ დემოკრატიასაც უწოდებდნენ ხოლმე. ტოტალიტარულმა დემოკრატიებმა დემოკრატიული მმართველობის საყოველთაო გაგება აშკარად დაამახინჯეს და გამოავლინეს, თუ რა შინაგანი წინააღმდეგობა შეიძლება არსებობდეს „ხალხის მმართველობას“ (მოქალაქეთა თანამონაწილეობასა) და „ხალხისთვის მმართველობას“ (მართვას ხალხის საკეთილდღეოდ) შორის. მაგალითად, წარმომადგენლობითი დემოკრატიის დამცველები ცდილობდნენ პოლიტიკაში ხალხის მონაწილეობა მხოლოდ ხმის მიცემის პროცედურამდე დაეყვანათ, რადგან ში-

შობდნენ, საზოგადოებას მთლიანობაში არც გამჭრიახობა, არც განათლება და არც გამოცდილება არ ეყოფა, ქვეყნის გონივრულად სამართავადო.

ტოტალიტარული დემოკრატია: აბსოლუტური დიქტატურა დემოკრატიის ნიღბით, ჩვეულებრივ ემყარება ლიდერის მისწრაფებას დაამტკიცოს, რომ პოლიტიკურ სიბრძნეზე მონოპოლიას სწორედ იგი ფლობს.

სად გადის ხალხის ძალაუფლების ზღვარი?

რაკიღა გადავწყვიტეთ, რაი არს ხალხი, და როგორ უნდა მართოს მან ქვეყანა, ახლა იმაზეც დავფიქრდეთ, სად უნდა გავიდეს მისი ძალაუფლების ზღვარი. განა რა არის დემოკრატიის სივრცე? რა საკითხები უნდა გადაწყვიტოს თავად ხალხმა, და რა უნდა დაუტოვოს გადასაწყვეტად ცალკეულ მოქალაქეს? მრავალი თვალსაზრისით, ასეთი კითხვები საჯარო და კერძო სფეროს შორის სათანადო ურთიერთობის შესახებ ხელახლა ხსნის დებატებს, რომელიც პირველ თავში იყო განხილული. ლიბერალურ ინდივიდუალიზმზე აღმოცენებული დემოკრატიული მოდელები, ჩვეულებრივ, დემოკრატიას ვიწროდ გაგებულ „პოლიტიკურ ცხოვრებაში“ ატევდნენ. ამ თვალსაზრისით, დემოკრატიის მიზანი - ხალხის თანამონაწილეობის სხვადასხვა ფორმით - იმ კანონთა ჩარჩოების დადგენაა, რომლის დახმარებითაც პიროვნებას თავისი ცხოვრების მოწყობა და კერძო ინტერესთა განხორციელება შეუძლია. ამდენად, დემოკრატიული გადაწყვეტილებანი მხოლოდ ერთიან საზოგადოებას ეხება - სხვა ვითარებაში, იგი თავისუფლების შემკვეცია. არცთუ იშვიათად, დემოკრატიისადმი ამგვარი უნდობლობა მის როგორც პირდაპირ, ასევე თანამონაწილეობითი ფორმების უარყოფაშიც არაერთხელ გამოვლენილა (იხ. გვ. 93).

დემოკრატიის ალტერნატიულ გაგებას სოციალისტები და რადიკალი დემოკრატები გვთავაზობენ. **რადიკალური დემოკრატია,** თავისთავად, არა იმ კანონთა ერთობლიობაა, რომელთა მიხედვითაც პიროვნებებს საკუთარი საქმის კეთება შეუძლიათ, არამედ ერთიანი პრინციპი საზოგადოებრივი არსებობის ყველა სფეროსთან მიმართებაში. ადამიანებს დაბადებისთანავე აქვთ მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება, დემოკრა-

ტია კი, უბრალოდ, ის ერთობლივი პროცესია, რითაც ამ გადაწყვეტილებათა მიღება ხორციელდება. ამის ნათელი მაგალითია სოციალისტთა მოთხოვნები ქონების კოლექტივიზაციისა და მუშათა თვითმმართველობის თაობაზე, რაც მათი თვალსაზრისით, ეკონომიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის აუცილებელი პირობაა. უბრალოდ, პოლიტიკური დემოკრატიის წახალისების ნაცვლად, სოციალისტები ერთთავად „სოციალ-დემოკრატიასა“ და **„ეკონომიკურ დემოკრატიაზე“** ლაპარაკობენ. მათ მსგავსად, ფემინისტებიც ოჯახური ცხოვრების დემოკრატიზაციას მოითხოვენ, რაც მათთვის საშინაო საქმესა თუ პირად ცხოვრებაში თანაბარი ხმის უფლებას ნიშნავს. ამ გადასახედიდან, დემოკრატია უფრო თავისუფლების „მეგობარია“, ვიდრე მისი „მტერი“ - ჩაგვრა და ძალადატანება მხოლოდ ამ პრინციპის უგულებელყოფის შემთხვევაში პოულობს ნოყიერ ნიადაგს.

რადიკალური დემოკრატია: დემოკრატიის ფორმა, რომელიც დეცენტრალიზაციას, საზოგადოების პოლიტიკურ მონაწილეობას და პოლიტიკური ძალაუფლების მაქსიმალურად გადანაწილებას უწყობს ხელს.

ეკონომიკური დემოკრატია: ფართო ტერმინი, რომელიც სამუშაო ადგილებზე დემოკრატიული პრინციპების გამოყენებას გულისხმობს.

პირდაპირი თუ წარმომადგენლობითი დემოკრატია?

პირდაპირი დემოკრატია (ზოგჯერ, „თანამონაწილეობით დემოკრატიადაც“ რომ მოიხსენიება) მმართველობით საქმიანობაში მოქალაქეთა პირდაპირ, უშუალო და მუდმივ თანამონაწილეობას გულისხმობს. ამრიგად, იგი მმართველებსა და მართულთ, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას მიჯნავს. სახალხო თვითმმართველობის ეს სისტემა ჯერ კიდევ ანტიკურ ათენში შეიქმნა სახალხო კრების ფორმით, დღეს კი მისი ყველაზე აშკარა გამოვლინებაა რეფერენდუმი (იხ. გვ. 223). პირდაპირი დემოკრატიის უმთავრესი ღირსებებია:

- მოქალაქეებს საკუთარ ბედზე მეტი კონტროლის საშუალებას აძლევს.
- უკეთ გათვითცნობიერებული და პოლიტიკურად განვითარებული საზოგადოების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და ამდენად, საგანმანათლებლო ღირსებებიც გააჩნია.

- საშუალებას აძლევს მოქალაქეებს თვითკმარი პოლიტიკოსების გარეშეც გამოხატონ საკუთარი აზრი და ნება.
- მმართველობის კანონიერებას უზრუნველყოფს, რამდენადაც ხალხი საკუთარ გადაწყვეტილებებს სცემს პატივს.

წარმომადგენლობითი დემოკრატია დემოკრატიის შეზღუდული და არაპირდაპირი ფორმაა - შეზღუდულია იმდენად, რამდენადაც მმართველობაში ხალხის მონაწილეობა ხანმოკლეა, და მხოლოდ რამდენიმე წელიწადში ერთხელ, არჩევნებში მონაწილეობით გამოიხატება. ხოლო არაპირდაპირია, რადგან საზოგადოება თავად არ ახორციელებს მმართველობას - უბრალოდ, მმართველებს ირჩევს. მართვის ეს ფორმა მეტ-ნაკლები დემოკრატიულობით ხასიათდება: წარმომადგენლობითობა (იხ. გვ. 219) მხოლოდ საიმედო და ქმედითი ჯაჭვის როლს ასრულებს მმართველ/მართულთა შორის და ხშირად სწორედ ამას უწოდებენ ხოლმე საარჩევნო მანდატს (იხ. გვ.222). შეგვიძლია წარმომადგენლობითი დემოკრატიის ძლიერი მხარეები ჩამოვთვალოთ:

- იგი დემოკრატიის მოქნილი ფორმაა (პირდაპირი და სახალხო თანამონაწილეობა მხოლოდ ადამიანთა მცირე ერთობებშია შესაძლებელი).
- რიგით მოქალაქეებს გადაწყვეტილებათა მიღების ტვირთისგან ათავისუფლებს და პოლიტიკურ ასპარეზზე შრომის განაწილებას ხდის შესაძლებელს.
- როგორც წესი, ქვეყნის მართვას უფრო განათლებულ, საქმის მცოდნე და გამოცდილ ხალხს აბარებს.
- რიგითი მოქალაქეების პოლიტიკიდან გამიჯვნით, სტაბილურობას ინარჩუნებს, და ამით საზოგადოებრივ თანხმობასაც აღწევს.

პლებისციტური დემოკრატია

პლებისციტური დემოკრატია დემოკრატიული მმართველობის ისეთი ფორმაა, რომელიც მმართველსა და მართულებს შორის პლებისციტის (ან რეფერენდუმის) სახის უშუალო კავშირს გულისხმობს. ეს საზოგადოებას საკუთარი აზრის პირდაპირ/უშუალოდ გამოხატვის შესაძლებლობას აძლევს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პლებისციტურ დემოკრატიას ხშირად იმის საფუძველზე აკრიტიკებენ, რომ ის დემაგოგიისთვის (ისეთი პოლიტიკური ლიდერების მმართველობა, რომ-

ლებიც მჭევრმეტყველებით ახერხებენ მასების მანიპულირებას, მათ ვნებებსა და ცრურწმენაზე თამაშით) ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის. ამ ტიპის დემოკრატია მასობრივი ექსტაზისგან დიდად არ განსხვავდება, რაც თავის მხრივ, დიქტატურას პოპულისტურ იერს სძენს. (იხ. გვ. 53).

დემოკრატიის მოდელები

ძალზე ხშირად, დემოკრატიას განუყოფელ, ერთგვაროვან ფენომენად მიიჩნევენ ხოლმე. მრავალთა აზრით, დასავლური დემოკრატია (მუდმივი და მრავალპარტიული, საყოველთაო ხმის უფლებაზე დაფუძნებული არჩევნები) დემოკრატიის ერთადერთი, ყოველ შემთხვევაში, ლეგიტიმურობის მხრივ, მისაღები ფორმაა. ხანდახან დემოკრატიის ამ გაგებას ტერმინ „ლიბერალურსაც“ უმატებენ ხოლმე, და უკვე ლიბერალურ დემოკრატიად იხსენიებენ. არადა, სინამდვილეში, დემოკრატიის არაერთი განსხვავებული თეორია თუ მოდელი არსებობს და ყოველი მათგანი სახალხო მმართველობის საკუთარ ვერსიას გვთავაზობს. აქ არა მხოლოდ დემოკრატიული ფორმებისა და მექანიზმების მრავალფეროვნებაზეა ლაპარაკი, არამედ - და სწორედ ესაა მთავარი - იმ ნიადაგთა ნაირგვაროვნებაზეც, დემოკრატიულმა მმართველობამ რომ შეიძლება „გაიხაროს“. თავად ლიბერალური დემოკრატიაც კი არაზუსტი ცნებაა - რადგან დემოკრატიული მოწყობის არაერთი, ურთიერთდაპირისპირებული ლიბერალური თვალსაზრისი არსებობს. დემოკრატიის ოთხი განსხვავებული მოდელი შეიძლება გამოვყოთ:

- კლასიკური დემოკრატია
- დამცავი დემოკრატია
- ხელშემწყობი დემოკრატია
- სახალხო დემოკრატია

კლასიკური დემოკრატია

დემოკრატიის კლასიკური მოდელი ძველბერძნული პოლისია, ანუ „ქალაქი-სახელმწიფო“, კერძოდ, მმართველობის ის სისტემა, რაც ძველი საბერძნეთის ყველაზე დიდ და ძლევამოსილ ქალაქ-სახელმწიფოში, ათენში განვითარდა. ჩვ.წ. აღ-მდე V-IV საუკუნეებში იქ გავრცელებული პირდაპირი დემოკრატიის ფორმას, ხშირად სახალხო მმართველობის ერთადერთ შეუმღვრეველ და იდეალურ სისტემად მიიჩნევენ ხოლმე. მართალია, ამ მოდელმა მნიშვნელოვნად იმოქმედა გვი-

ანდელი ეპოქების ისეთ მოაზროვნეებზე, როგორებიც რუსო და მარქსი (იხ. გვ. 40) იყვნენ, ათენური დემოკრატია (იხ. გვ. 96) მაინც ბოლომდე პირდაპირი და სახალხო მმართველობის უნიკალურ ნაირსახეობად დარჩა, თუმცა მისი გამოძახილი თანამედროვე სამყაროში საკმაოდ უმნიშვნელო იყო. ათენში დემოკრატია სახალხო კრების სახით ვლინდებოდა. დემოკრატიის ამგვარი ფორმის შეურიგებელ კრიტიკოსად თავად პლატონი (იხ. გვ. 13) გვევლინება. პოლიტიკური თანასწორობის იდეას იგი ამ მოსაზრებით უარყოფდა - ადამიანთა დიდ უმრავლესობას მართვისთვის აუცილებელი არც ჭკუა-გონება ეყოფა, არც გამოცდილებაო. თავის *სახელმწიფოში* პლატონმა გამოსავალიც შემოგვთავაზა - მან მმართველობა მეფე-ფილოსოფოსებს (ანუ მეურვეთ) გადააბარა და ერთგვარი „განათლებული დიქტატურის“ მოდელიც დაგვიხატა. თუმცაღა, ათენურ დემოკრატიას სხვა პრინციპული ნაკლიც ახასიათებდა: ამგვარი მმართველობა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს პოლიტიკური საქმიანობიდან მიჯნავდა - მმართველობაში თანამონაწილეობისთვის მხოლოდ ათენშივე დაბადებული, 20 წელს გადაცილებული მამაკაცები დაიშვებოდნენ, მონებს (მოსახლეობის უმრავლესობას), ქალებს და უცხოტომელებს საერთოდ არანაირი პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდათ. ამასთანავე, ათენელ მოქალაქეებს იმიტომაც რჩებოდათ ამდენი დრო პოლიტიკისთვის, რომ მონობის ინსტიტუტი მძიმე ფიზიკური შრომისგან ათავისუფლებდათ და საოჯახო ცხოვრების მთლიანად ქალებისთვის გადაბარებაც, ბევრ ყოფით საზრუნავს აცილებდათ თავიდან. და მაინც, პოლიტიკურ ცხოვრებაში პირდაპირი და მუდმივი თანამონაწილეობის კლასიკური მოდელის ანარეკლი მსოფლიოს არაერთ კუთხეში შეინიშნება - ვთქვათ, ა.შ.შ.-ში, სადაც ახალი ინგლისის ქალაქებში დღესაც საერთო კრება წყვეტს მნიშვნელოვან საკითხებს და ასევე, შვეიცარიის მცირე კანტონების სათემო გაერთიანებების მმართველობაშიც. აქედანვე მოდის რეფერენდუმთა საყოველთაო პრაქტიკაც.

არის თუ არა დემოკრატია ყოველთვის მმართველობის საუკეთესო ფორმა?

თანამედროვე პოლიტიკაში დემოკრატია იმდენად ფართოდ იქნა მიღებული, რომ მისი ეჭვქვეშ დაყენება თითქმის პოლიტიკურად

არასწორია. ამრიგად, პოლიტიკური პრობლემის „სწორი“ გადაწყვეტა დემოკრატიული გადაწყვეტაა; პოლიტიკური პრობლემა ზოგჯერ ან თავად ხალხის ან უფრო ხშირად, ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული პოლიტიკოსების მიერ გადაიჭრება. მაგრამ რატომ სცემენ დემოკრატიას ასე ფართოდ პატივს? და არსებობს თუ არა ისეთი გარემოებები, როდესაც დემოკრატიული მმართველობა შეუსაბამო ან არასასურველია?

კი

პოლიტიკის უმაღლესი ფორმა

დემოკრატიის უნიკალურ ძალას წარმოადგენს ის, რომ მას პოლიტიკის ცენტრალურ გამოწვევას შეუძლია გაუმკლავდეს - ერთი და იმავე საზოგადოებაში კონკურენტული შეხედულებებისა და ინტერესების არსებობას - და ამავე დროს, დემოკრატიული საზოგადოებები სტაბილურნი და მშვიდობიანნი არიან. ეს იმიტომ ხდება, რომ დემოკრატია ღია დებატებს, დარწმუნებასა და კომპრომისს ეყრდნობა. საწინააღმდეგო შეხედულებების ან კონკურენტული ინტერესების მქონე ადამიანები პოლიტიკური ხმის დამსახურებით შედარებით ჰარმონიაში თანაცხოვრებას ცდილობენ. მაშასადამე, დემოკრატია ერთგვარი პოლიტიკური უსაფრთხოების საფარია, დემოკრატიული მონაწილეობა სიბრაზისა და იმედგაცრუების დაგროვებას უშლის ხელს.

დემოკრატია, როგორც უნივერსალური ღირებულება

ახლა ფართოდ ამტკიცებენ, რომ დემოკრატია ადამიანის უფლებაა: ფუნდამენტური და აბსოლუტური უფლება, რომელიც ყველა ადამიანს ეკუთვნის, განურჩევლად ეროვნებისა, რელიგიისა, სქესისა და სხვა განსხვავებებისა. პოლიტიკური მონაწილეობისა და ძალაუფლებაზე ხელმისაწვდომობის უფლებები, განსაკუთრებით ხმის მიცემის უფლება, საყოველთაოდ გამოიყენება, რადგან ისინი გადაწყვეტილების ფორმირების ძირითადი უფლებიდან გამომდინარეობენ, რაც ჩვენს ცხოვრებაზე გავლენას ახდენს. მართლაც, ძალაუფლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და პოლიტიკური მონაწილეობის უფლება შესაძლოა განიხილებოდეს არა უბრალოდ როგორც სათნოება, არამედ როგორც ყველა სხვა უფლებისა და თავისუფლების შენარჩუნების წინაპირობა.

ტირანიის თავიდან აცილება

მმართველობის ყველა სისტემა შესაძლოა ხალხის წინააღმდეგ ტირანიად გადაიქცეს, რაც ასახავს იმ ფაქტს, რომ ხელისუფლებაში მყოფნი (და, ამ მხრივ, ყველა ადამიანი) სხვათა ინტერესებზე წინ საკუთარი ინტერესების დაყენებისკენ არიან მიდრეკილნი. ამიტომ მთავრობები და ლიდერები უნდა შემოწმდნენ ან შეიზღუდონ, და არ არსებობს ძალაუფლების უფრო ეფექტური შემზღუდავი მექანიზმი, ვიდრე დემოკრატია. ეს იმიტომ ხდება, რომ დემოკრატიული მმართველობა ანგარიშვალდებულების მექანიზმის მეშვეობით მოქმედებს, რაც საზოგადოებას „თაღლითთა გაგდების“ საშუალებას აძლევს. ამრიგად, დემოკრატიული საზოგადოებები არა მხოლოდ ყველაზე სტაბილური საზოგადოებები არიან მსოფლიოში, არამედ ის საზოგადოებებიც, რომლებშიც მოქალაქეები თავისუფლების ფართო სფეროებით სარგებლობენ.

არა

დემოკრატიის დისჰარმონია

სტაბილურობის გარანტიის სიშორიდან გამომდინარე, დემოკრატია კონფლიქტისა და დისჰარმონიის სასარგებლოდაა მიკერძოებული. ეს იმიტომ ხდება, რომ დემოკრატია ოპონენტთა შორის მუდმივ საარჩევნო ბრძოლას აჩაღებს და ისინი წახალისებულნი არიან, რათა ერთმანეთი დაგმონ. შედეგად, დემოკრატიული პოლიტიკა ხშირად, ხმაურიანი და საზიზღარია. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიის დისჰარმონია შედარებით განვითარებულ საზოგადოებებში სტრუქტურულ ნგრევას ნაკლებად შეუქმნის საფრთხეს, განვითარებად სამყაროში დემოკრატიამ შესაძლოა ბევრი რამ უარესი გახადოს (Hawksley, 2009). ამრიგად, „დემოკრატიზაციამ“ შესაძლოა ჯგუფური, რეგიონალური ან ეთნიკური დაძაბულობები გააღრმავოს და ქარიზმატული ლიდერობისკენ არსებული ტენდენცია გააძლიეროს, რაც თავისთავად, ავტორიტარიზმს შეუწყობს ხელს.

დემოკრატია, როგორც ვესტერნიზაცია

საყოველთაოდ გამოყენებადობის ნაცვლად, დემოკრატია ისეთ ღირებულებებსა და ვარაუდებს ეფუძნება, რომლებიც მისი დასავლური ცენტრის კულტურულ მიკერძოებას ღალატობენ. დემოკრატია ფესვგადგმულია ისეთ იდეებში, როგორიცაა ინდივიდუალიზმი, თანაბა-

რი მოქალაქეობის პრინციპი, „ერთი ადამიანი, ერთი ხმა“, პლურალიზმი და კონკურენციის ცნებები, რომლებიც არსებითად ლიბერალური ხასიათის არიან. მაშასადამე, დემოკრატიის დომინანტური ფორმა დასავლური სტილის დემოკრატიაა და მისი გავრცელება, ზოგჯერ არადასავლურ სამყაროში შესაძლოა კულტურული იმპერიალიზმის ფორმად განიხილებოდეს.

კარგი მთავრობა პოპულარული მთავრობის ნაცვლად

ხშირად პრობლემათა დემოკრატიულად გადაწყვეტა გონივრული არაა. დემოკრატიის პრობლემა არის ის, რომ სიბრძნე და გამოცდილება იგნორირებულია, რადგან განათლებულ უმცირესობათა შეხედულებები ნაკლებად განათლებული უმრავლესობის შეხედულებებითაა გადაფარული. პოლიტიკური თანასწორობის პრინციპის ერთგული დემოკრატია ვერ უმკლავდება იმ ფაქტს, რომ უმრავლესობა ყოველთვის მართალი არ არის. ეს განსაკუთრებით ეკონომიკურ პოლიტიკას ეხება, სადაც ისეთი ვარიანტები, როგორიცაა გადასახადების ზრდა ან სახელმწიფო ხარჯების შემცირება, შესაძლოა მხოლოდ იმიტომ გამოირიცხოს, რომ ისინი არაპოპულარულია.

ათენის დემოკრატია

ათენის დემოკრატია ქალაქ-სახელმწიფოს საქმეებში ჩართულობის მაღალი დონით ხასიათდება. მთავარ გადაწყვეტილებებს კრება ან “Ecclesia” იღებდა, რომელსაც ყველა მოქალაქე ეკუთვნოდა. საბჭო, რომელიც 500 მოქალაქისგან შედგებოდა, როგორც კრების აღმასრულებელი ან მმართველი კომიტეტი, ისე მოქმედებდა, ხოლო 50 კაციანი კომიტეტი, თავის მხრივ, საბჭოს წინადადებებს წარუდგენდა. კომიტეტის ხელმძღვანელი თანამდებობას მხოლოდ ერთი დღით იკავებდა და არცერთ ათენელს შეეძლო მის სიცოცხლეში ამ თანამდებობის ერთზე მეტჯერ დაკავება.

დამცავი დემოკრატია

დემოკრატიულმა იდეებმა ახალი სიცოცხლე XVII-XVIII საუკუნეებში შეიძინეს; თუმცა ისინი უკვე საკმაოდ განსხვავდებოდნენ ანტიკური საბერძნეთის კლასიკური დემოკრატიის მოთხოვნებისგან. კერძოდ, დემოკრატია ნაკლებად აღიქმებოდა, როგორც საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში თანამონაწილეობის მექანიზმი - ის ახლა უფრო

იმ საშუალებად მოიაზრებოდა, რითაც მოქალაქეებს ხელისუფლების მოთოკვა შეეძლოთ. აქედან - „მეურვე დემოკრატიის“ ცნება. ამგვარ თვალსაზრისს იმ დროის ლიბერალი მოაზროვნეები იზიარებდნენ, ვინც უპირველეს ყოვლისა, პიროვნული თავისუფლების სამოქმედო არეალის გაფართოებას ისახავდა მიზნად. ყოვლისშემძლე ხელისუფლებისგან პიროვნების დაცვის სურვილი მოჩანს ალბათ, იმ ყველაზე ადრეულ, სწორედაც რომ დემოკრატიულ განწყობაში, რაც არისტოტელესეულ კონტრ-შეკითხვაში გამოსჭვივის: “თავად მეურვეებს ვინღა გაუწევს მეურვეობას?“.

იგივე „ნებას მიშვებული“ ძალაუფლების საკითხი აფიქრებდა ჯონ ლოკსაც (იხ. გვ. 30). მისი ღრმა რწმენით, არჩევნებში საყოველთაო მონაწილეობა **თანდაყოლილი უფლებებიდან** გამომდინარეობდა და საკუთრების უფლებას პირდაპირ უკავშირდებოდა. თუკი ხელისუფლება იმგვარად დაბეგრავდა მოსახლეობას, საბოლოო ჯამში მისთვის საკუთრების ჩამორთმევაც რომ შესძლებოდა, მაშინ მოქალაქეებსაც უნდა ჰქონოდათ საშუალება, გაუსაძლისი ბეგარისგან კანონიერად დაეცვათ თავი. სხვა სიტყვებით, დემოკრატია „შეთანხმებული მმართველობის“ სისტემასთან გაიგივდა და ის უკვე წარმომადგენლობითი ასამბლეის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო. აღსანიშნია, რომ თავად ლოკი სულაც არ გახლდათ დემოკრატი დღევანდელი გაგებით. მას მიაჩნდა, რომ ხმის მიცემა მხოლოდ მესაკუთრეებს უნდა შესძლებოდათ, რადგან სწორედ მათ თანდაყოლილ უფლებას უქმნიდა საფრთხეს ხელისუფლების თავგასულობა. საყოველთაო საარჩევნო უფლების უფრო რადიკალური მოთხოვნები XVIII საუკუნიდან მოყოლებული გაისმის და ისეთი თეორეტიკოსების სახელებს უკავშირდება, როგორებიც იყვნენ ჯერემი ბენტამი და ჯეიმზ მილი (1773-1836). მაგრამ დემოკრატიის წმინდა გამოყენებითი, უტილიტარული (იხ. გვ. 366) გაგება პიროვნების ინტერესთა დაცვასა და ხელშეწყობასაც გულისხმობს. ბენტამს სწამდა, რაკი ნებისმიერი ადამიანი სიამოვნებას ესწრაფვის და ტკივილის თავიდან აცილებას ცდილობს, საყოველთაო საარჩევნო უფლება (რაც იმდროისთვის მხოლოდ მამაკაცთა პრივილეგია იყო) ერთადერთი გზაა - მეტი ადამიანის მეტად დასაკმაყოფილებლადო.

თანდაყოლილი უფლებანი: ადამიანისთვის ძირითადი, ღვთითბოძებული, ხელშეუხებელი უფლებები.

მაგრამ, დემოკრატიის მარტოოდენ დამცავი ფუნქციის აღიარებით, იმავე დემოკრატიული მმართველობის მხოლოდ ცალმხრივ სურათს თუ დავინახავთ. მოკლედ, დამცავი დემოკრატია ამ ფართო ცნების მხოლოდ შეზღუდული და არაპირდაპირი გამოვლინებაა. ხელისუფლებისადმი ნდობა საყოველთაო და მრავალპარტიულ არჩევნებში მონაწილეობით გამოიხატება. სწორედ ამით მიიღწევა მმართველთა ანგარიშვალდებულება ამომრჩეველთა მიმართ. პოლიტიკური თანასწორობა ამ დროს უბრალოდ ტექნიკური ტერმინია, თანაბარი საარჩევნო უფლებების გამოსახატავად. მეტიც, ეს კონსტიტუციური დემოკრატიის იმგვარი სისტემაა, რაც ფორმალური თუ არაფორმალური წესების შესაბამისად, ხელისუფლების მიერ ძალაუფლების გამოყენებას აკონტროლებს. თუკი ხმის მიცემის უფლება პიროვნული თავისუფლების დაცვის საშუალებაა, თავისუფლება, ამავე დროს, ხელისუფლების მკაცრი გადანაწილებითაც უნდა იქნას გარანტირებული - საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის. ამასთანავე, აუცილებელია ფუნდამენტური თავისუფლებების შენარჩუნება - იქნება ეს სიტყვისა თუ გადაადგილების თავისუფლება, ანდა უდანაშაულობის პრეზუმფცია. საბოლოო ჯამში, დამცავი დემოკრატია მიზნად ისახავს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მოქალაქეს, იცხოვროს არჩეული ცხოვრების წესით. შესაძლებელია თავისუფალ საბაზრო კაპიტალიზმთან (იხ. გვ. 154) მისი შედარებაც - ვინაიდან ამგვარი დემოკრატია პიროვნების სრულ პასუხისმგებლობას აღიარებს საკუთარი ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო. აქ აშკარაა თანხვედრა როგორც კლასიკურ ლიბერალიზმთან, ისე თანამედროვე ახალ მემარჯვენეობასთანაც.

ჯერემი ბენტამი (1748-1832)

ბრიტანელი ფილოსოფოსი, სამართლის რეფორმატორი და უტილიტარიზმის ფუძემდებელი. ბენტამმა შეიმუშავა ზნეობრივ-ფილოსოფიური სისტემა, რომელიც იმ მოსაზრებას ეფუძნებოდა, რომ ადამიანები ბუნებით რაციონალურად ეგოისტური არსებები არიან და მათი მიზანი სარგებლიანობის მაქსიმიზაციაა. ბენტამს სჯეროდა, რომ აღნიშ-

ნული თვისება სამართლისა და პოლიტიკის სფეროებში რეფორმების სამეცნიერო საფუძვლად შეიძლებოდა ქცეულიყო. „მეტი კმაყოფილების“ პრინციპზე დაყრდნობით, მისმა მიმდევრებმა - ფილოსოფოს-რადიკალებმა, მე-19 საუკუნის დიდ ბრიტანეთში არაერთ რეფორმას ჩაუყარეს საფუძველი - სამართლის, მმართველობისა და ეკონომიკის სფეროებში. თავისუფალი ბაზრის (*laissez-faire)* პრინციპების მომხრე ჯერემი ბენტამი მოგვიანებით პოლიტიკური დემოკრატიის მტკიცე მიმდევარიც გახდა. მისი უტილიტარისტული ხედვა კარგად ჩანს ნაშრომში „ჩანაწერები მმართველობის თაობაზე“ (1776), ხოლო უფრო სრულად - „ზნეობისა და კანონმდებლობის პრინციპებში“ (1789).

ხელშემწყობი დემოკრატია

ადრეული დემოკრატიული თეორია უმთავრეს მნიშვნელობას პიროვნების უფლებებისა და ინტერესების დაცვას ანიჭებდა, მაგრამ მალე განსხვავებული თვალსაზრისიც გამოიკვეთა: პიროვნებისა და საზოგადოების შემდგომი განვითარების აუცილებლობა. შედეგად, დემოკრატიული მმართველობის ახალი მოდელებიც გაჩნდა, რომლებსაც ზოგადად „ხელშემწყობი დემოკრატიის“ (Developmental Democracy) სისტემა შეიძლება ეწოდოს. მათგან უახლესი და ყველაზე რადიკალური, ჟან-ჟაკ რუსოსეული მოდელია. მრავალი თვალსაზრისით, რუსოს იდეებმა დემოკრატიის გაბატონებული ლიბერალური გაგება შეარყია და შემდგომში მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია როგორც მარქსისტულ თუ ანარქისტულ ტრადიციებზე, ასევე ახალი მემარცხენეობის მიმდინარეობაზეც. რუსოსთვის დემოკრატია სხვა არაფერი იყო, თუ არა იარაღი, რითაც ადამიანს თავისუფლება (იხ. გვ. 302) და დამოუკიდებლობა უნდა მოეპოვებინა - „საკუთარი თავისთვის დაწესებულ კანონთა მორჩილების“ თვალსაზრისით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოქალაქე მხოლოდ მაშინაა „თავისუფალი“, როცა თავადვე განუწყვეტლივ და უშუალოდ მონაწილეობს საკუთარი თემის ცხოვრებაში. ეს იდეა საკმაოდ სცილდება არჩევითი დემოკრატიის საყოველთაოდ მიღებულ გაგებას და პირდაპირი დემოკრატიის უფრო რადიკალური იდეალის დამცველად გვევლინება. მართლაც, რუსო ბრიტანული ტიპის არჩევნების შეურიგებელი კრიტიკოსი გახლდათ, თავის საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში (1762) იგი წერდა:

ინგლისელები ფიქრობენ, თავისუფლები ვართო, თუმცა მწარედ ცდებიან - ინგლისელი მხოლოდ მაშინაა თავისუფალი, როცა პარლამენტის წევრს ირჩევს; არჩევანი გაკეთდება და ხალხიც ისევ მონობას უბრუნდება. მათი „თავისუფლება“ - წამიერი ილუზიაა, არადა, ხეირიანად ამ ერთადერთ წამსაც ვერ იყენებენ.

რუსოს მოდელის სიახლე კი მისი დაჟინებული მტკიცებაა, რომ თავისუფლება, საბოლოო ჯამში, **საერთო ნების** მორჩილებას ნიშნავს. რუსო სწორედაც ამ „საერთო ნებაში“ ხედავდა თითოეული მოქალაქის ჭეშმარიტი ნების გამოვლინებას და არა მათ კერძო თუ სათავისო სურვილებში. როცა მოქალაქე საერთო ნებას ემორჩილება, ის უბრალოდ, თავისივე „ნამდვილი“ ბუნების კარნახსაა აყოლილი - საკუთარი ეგოიზმის დაძლევის შემთხვევაში, იგი სწორედაც რომ ასე მოიქცეოდა. რუსოს თუ დავუჯერებთ, ხელშემწყობი დემოკრატიის რადიკალური გამოვლინება არა მარტო პოლიტიკურ თანასწორობას, არამედ ეკონომიკური თანასწორობის შედარებით მაღალ ხარისხსაც მოითხოვს. მართალია, კერძო საკუთრების მომხრე არასოდეს ყოფილა, მაგრამ რუსო მაინც კატეგორიულად აცხადებდა: არც ერთი მოქალაქე არ უნდა იყოს იმდენად მდიდარი, რომ მეორეს ყიდვა შეეძლოს და არც ერთი, ისე ღარიბი, თავის გაყიდვა რომ მოუწიოსო.

საყოველთაო ნება: ყველას ნება, როცა ამ ერთობის თითოეული წევრი კერძოზე მაღლა დადგომას ახერხებს.

ჟან ჟაკ რუსო (1712-78)

ფრანგი მორალისტი და ფილოსოფოსი, საფრანგეთის რევოლუციის უმთავრესი ინტელექტუალური შთამაგონებელი. რუსო თვითნასწავლი გახლდათ, თუმცა 1742 წ. პარიზში ჩასული, მალევე დაუახლოვდა ფრანგული განმანათლებლობის კორიფეებს - განსაკუთრებით დენი დიდროს. ჟან ჟაკ რუსოს ნაშრომები ისეთ სფეროებს სწვდება, როგორებიცაა ლიტერატურა, განათლება, ხელოვნება, მეცნიერება და ფილოსოფია. განმსჭვალული ღრმა რწმენით „ბუნებრივი ადამიანის“ სიკეთესა და „სოციალური ადამიანის“ უვარგისობაში. რუსოს პოლიტიკური სწავლებანი განზოგადებული და ჩამოყალიბებულია წიგნში „ემილი ანუ ახალი ელიოზა“ (1762) და ცნობილ „საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში“ (1762). რუსო დემოკრატიის რადიკალური ფორმის აპოლო-

გეტად გვევლინება, რამაც გავლენა მოახდინა ლიბერალურ, სოციალისტურ, ანარქისტულ და - ზოგიერთის მტკიცებით - ფაშისტურ ფილოსოფიაზეც კი. ავტობიოგრაფიულ „აღსარებაში“ (1770) მან გასაოცარი გულწრფელობით მოგვითხრო საკუთარ ცხოვრებაზე და მას არც ცოდვა-სისუსტეების დაფარვა უცდია.

სწორედ რუსოს ნააზრევი დაედო საფუძვლად თანამონაწილეობითი დემოკრატიის იდეას, რომლის მედროშეებადაც XX საუკ. 60-70-იან წლებში ახალი მემარცხენეები მოგვევლინენ. ამ შემთხვევაში, „თანამონაწილე საზოგადოების“ ღირსებებია გამოკვეთილი და ყოველ ცალკეულ მოქალაქეს შესაძლებლობა ეძლევა, თავისი ცხოვრება საკუთარ ჭკუაზე მოაწყოს. ამ მიზნის მიღწევა კი მხოლოდ საზოგადოების უმთავრესი ინსტიტუტების **ანგარიშვალდებულებისა** და დეცენტრალიზაციის შემთხვევაშია შესაძლებელი. მსგავსი მოდელის გული „ღრმად ფესვგადგმული“ დემოკრატიაა - ანუ მისი იმგვარი ფორმა, როცა პოლიტიკური ძალაუფლება რაც შეიძლება უფრო დაბალ ფენებშიც უნდა ვრცელდებოდეს. და მაინც, თავად რუსოს თეორიები არაერთხელ გამხდარა მკაცრი კრიტიკის საგანი მოქალაქეთა „ჭეშმარიტი“ ნებისა და მათ მიერ „განცდილი“ სუბიექტური სურვილების გამიჯვნის გამო: აქ ხომ ერთი საფრთხე იმალება - თუკი მოქალაქეთა უბრალო გამოკითხვით ვერ გაირკვა, რა არის ის საერთო ნება (ადამიანს ხომ ხშირად კერძო ინტერესი აბრმავებს ხოლმე), იგი შესაძლოა ზემოდანაც იქნას თავსმოხვეული - ვთქვათ, მავანი დიქტატორის მიერ, ვინც თავს საზოგადოების ჭეშმარიტი ინტერესების გამომხატველად გამოაცხადებს. სხვათა შორის, ალბათ ამიტომაც უწოდებენ ხოლმე რუსოს, ე.წ. ტოტალიტარული დემოკრატიის არქიტექტორს (Talmon, 1952).

ანგარიშვალდებულება: პასუხისმგებლობა; სხვისი საქციელის ახსნის მოვალეობა და სხვათა მხრიდან შენდამი წამოსული კრიტიკისადმი ღიაობა.

მოგვიანებით ხელშემწყობი დემოკრატიის შედარებით ზომიერი ფორმაც გაჩნდა, რომელიც წარმომადგენლობითი მმართველობის ლიბერალურ მოდელთან ამჟღავნებს სიახლოვეს და სათავეს ჯონ სტიუარტ მილის (იხ. გვ. 220) ნაწერებიდან იღებს. მილისთვის დემოკრატიის უმთავრესი ღირსება პიროვნული შესაძლებლობების „უკიდურე-

სი და ჰარმონიული განვითარების“ ხელშეწყობა გახლდათ. პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობით, მოქალაქეები თვითშეგნებასაც იმაღლებენ, პოლიტიკურ ალღოსაც იძენენ და საერთოდ, პიროვნულად ვითარდებიან. მოკლედ, მისი აზრით, დემოკრატია არსებითად საგანმანათლებლო გამოცდილებაა. შედეგად, მილმა პოლიტიკურ საქმიანობაში ხალხის უფრო ფართო ფენების თანამონაწილეობის იდეა წამოაყენა და საარჩევნო ხმის უფლება ყველასთვის მოითხოვა, გარდა წერა-კითხვის უცოდინრებისა. იმ დროისთვის საკმაოდ რადიკალურად ჩანდა მისი განცხადება არჩევნებში ქალთა თანამონაწილეობის თაობაზეც. ამავე დროს, მილი ძლიერ და დამოუკიდებელ ადგილობრივ ხელისუფლებასაც უჭერდა მხარს - მისი აზრით, სწორედ ეს იქნებოდა ქვეყნის მმართველობაში სულ უფრო მეტი სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ჩართვის წინაპირობა.

მეორეს მხრივ, ლიბერალებთან ზოგადი თანხმობის მიუხედავად, მილი დემოკრატიის საფრთხეებს კარგად აცნობიერებდა და ზოგჯერ პოლიტიკური თანასწორობის იდეას ჯიუტად უარყოფდა. პლატონის მსგავსად, არც მილს სჯეროდა, თითქოსდა ყველა პოლიტიკური შეხედულება თანაბრად ღირებულია - აქედან გამომდინარე, საარჩევნო ხმების გადანაწილებას ემხრობოდა: შავ მუშებს ერთი ხმა მიეცემოდათ, ოსტატებს - ორი, ხოლო ნასწავლ ხალხს და სპეციალისტებს - ხუთიც ან ექვსიც. თუმცა, დემოკრატიისადმი მისი ძირითადი უნდობლობა მაინც ტიპიური ლიბერალური შიშიდან მომდინარეობდა იმის მიმართ, რასაც ალექსის დე ტოკვილმა (იხ. გვ. 271) „უმრავლესობის ტირანია“ უწოდა: სხვაგვარად რომ ვთქვათ, დემოკრატია ყოველთვის შეიცავს საფრთხეს, ხალხის სახელით მსხვერპლად გაიღოს პიროვნული თავისუფლებაცა და უმცირესობათა უფლებებიც. მილი შიშობდა, რომ დემოკრატია, უმრავლესობის ნების სასარგებლოდ, აზრთა ჭიდილზე, კრიტიკულ მიდგომებზე და საერთოდ, ინტელექტუალურ ცხოვრებაზე იტყოდა უარს და, შესაბამისად, ერთგვაროვნებას და განუსჯელ კონფორმიზმს დანერგავდა. მარტივად თუ ვიტყვით, უმრავლესობა ყოველთვის როდია მართალი და ხელის უბრალო აწევით გადაწყვეტილების მიღებაც გონივრულობის საზომად ვერ გამოდგება; მილი ამიტომაც უფრო ე.წ. **სათათბირო დემოკრატიას** ქომაგობდა, ანუ საპარლამენტო წყობას.

სათათბირო დემოკრატია: დემოკრატიის ფორმა, რომელშიც საზოგადოებრივ ინტერესთა განსაზღვრისთვის დიდი მნიშვნელობა მსჯელობასა და კამათს ენიჭება.

საპარლამენტო დემოკრატია

საპარლამენტო დემოკრატია დემოკრატიული მმართველობის ის ფორმაა, რომელიც ხალხის მიერ არჩეულ საბჭოს ეფუძნება, და ხალხსა და მთავრობას შორის კავშირს უზრუნველყოფს. ამ გაგებით, დემოკრატია პასუხისმგებლობისა და წარმომადგენლობითობის პრინციპზე დამყარებულ მმართველობას გულისხმობს. ამდენად, საპარლამენტო დემოკრატია საზოგადოების თანამონაწილეობას და ელიტის მმართველობას აბალანსებს: მთავრობა არა უშუალოდ ხალხის, არამედ მის მიერ არჩეული წარმომადგენლების წინაშეა ანგარიშვალდებული. აღნიშნული სისტემის უპირატესობა ისაა, რომ არჩეულ წარმომადგენლებს - პროფესიული ცოდნისა და განსჯა-განხილვის შესაძლებლობის წყალობით - სავარაუდოდ, საზოგადოების ინტერესების განსაზღვრა ხალხზე უკეთესად შეუძლიათ.

თათბირი ან დასაბუთებული დისკუსია შესაძლოა როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე მოხდეს. მიკრო თათბირი დადგენილ დროსა და ადგილზე ხდება და ჩვეულებრივ პირისპირ ინტერაქციას, მაგალითად, საპარლამენტო დებატებს, საკომიტეტო სხდომებს და ა.შ. მოიცავს. საპირისპიროდ, მაკრო თათბირი წარმოადგენს განხილვას, რომელიც ფართო საჯარო სფეროში ხდება. ეს არის მიმდინარე პროცესი, რომელიც მაგალითად, საჯარო დებატებს, თავისუფალ მედიას, მინისტრთა განცხადებებს და ინტერესთა ჯგუფების ლობირებას მოიცავს. მიუხედავად ამისა, თათბირს დემოკრატიული ხასიათი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ ის ყველა იმ მოქალაქეს მოიცავს, რომლებსაც განსახილველი საკითხი ეხებათ, ხოლო მათი თანამონაწილეობა თავისუფალია და თანასწორობის მინიმალურ სტანდარტებს აკმაყოფილებს (Chappell, 2012). სათათბირო დემოკრატიის სასარგებლოდ მოყვანილ არგუმენტებს შორის არის ის, რომ არგუმენტირებულ დებატებში ჩართვა მოქალაქეებს წაახალისებს სხვების შეხედულებები უკეთ შეაფასონ, რაც თავის მხრივ, კონსენსუსს უწყობს ხელს. საპირისპიროდ, სათათბირო დემოკრატიის კრიტიკოსები სხვა საკითხებთან ერთად

ამტკიცებენ, რომ როგორც წესი, თათბირი იმ მოქალაქეების უპირატესობით მიმდინარეობს, რომლებიც განათლებულნი და დარწმუნების ხელოვნებაში არიან გაწაფულნი, რაც პრაქტიკაში გარიყულობასა და უთანასწორობას უწყობს ხელს.

სახალხო დემოკრატია

ცნება „სახალხო დემოკრატია“ მას შემდეგ გაჩნდა, რაც საბჭოური ტიპის რეჟიმებმა წამოყვეს თავი. თუმცა, ჩვენ აქ უფრო ფართო გაგებით მოვიხმართ ამ ტერმინს - მარქსისტულ ტრადიციებზე დამყარებული სხვადასხვა დემოკრატიული მოდელების აღსანიშნად. ყველა ისინი ერთმანეთისგან კი განსხვავდებიან, მაგრამ ლიბერალურ-დემოკრატიულ მოდელებს მაინც ერთნაირად უპირისპირდებიან. მარქსისტებს მუდამ ახასიათებდათ ლიბერალური, ანუ საპარლამენტო დემოკრატიისადმი ამრეზილი დამოკიდებულება, მისი „ბურჟუაზიულობისა“ თუ „კაპიტალისტურობის“ დამსახურებით. თუმცა, დემოკრატიის კონცეფცია თუ იდეალი, მისი აშკარა ეგალიტარული ბუნებიდან გამომდინარე, მარქსისტებმაც აიტაცეს - ისინი ხომ საბოლოო მიზანს საერთო საკუთრების გზით, სოციალური თანასწორობის მიღწევაში ხედავდნენ („სოციალ-დემოკრატია“, თავისი პირველადი გაგებით); ოღონდ ეგაა, რომ „პოლიტიკურ დემოკრატიას“, როგორც თანასწორობის მხოლოდ შელამაზებულ ფასადს, მაინც ბოლომდე უპირისპირდებოდნენ.

მარქსს სჯეროდა - კაპიტალიზმის დამხობა ჭეშმარიტი დემოკრატიის აყვავებას მოიტანსო. მისი აზრით, სრული კომუნისტური საზოგადოება მხოლოდ „პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურის“ გარდამავალი პერიოდის შემდეგ ჩამოყალიბდებოდა და „ბურჟუაზიული“ დემოკრატიის სისტემა სრულიად განსხვავებული, „პროლეტარული“ დემოკრატიით შეიცვლებოდა. მართალია, მარქსს კონკრეტულად არ დაუხატავს, როგორი იქნებოდა ეს გარდამავალი საზოგადოება, თუმცა იმ აღფრთოვანებით თუ ვიმსჯელებთ, რასაც 1871 წ. პარიზის კომუნისადმი გამოხატავდა, ძნელი არაა წარმოვიდგინოთ, როგორ ესახებოდა „ნათელი“ მომავალი.

როზა ლუქსემბურგი (1871-1919)

პოლონური წარმოშობის რევოლუციონერი სოციალისტი და ორთოდოქსი მარქსისტი. ლუქსემბურგმა ბოლშევიკური ტრადიციის მარ-

ქსისტული კრიტიკა დემოკრატიის გადმოსახედიდან განავითარა. ის ფართოდ დაფუძნებული დემოკრატიული ორგანიზაციის სარგებელს უსვამდა ხაზს, ამასთანავე, მან ლენინისეული მჭიდროდ ცენტრალიზებული ავანგარდული პარტიის შესახებ არსებული კონცეფცია დაგმო, რადგან მასში მუშათა კლასზე პოლიტიკური კონტროლის გაძლიერების ნიშან-თვისებები დაინახა. ავანგარდიზმის დესპოტიზმის აღზევებასთან ასოცირებით, როზა ლუქსემბურგმა რუსული კომუნიზმის შემდგომი კურსი იწინასწარმეტყველა. თავის ყველაზე მნიშვნელოვან თეორიულ ნაშრომში, „კაპიტალის დაგროვება“ (1913), ლუქსემბურგმა კაპიტალიზმს, ნაციონალიზმს, მილიტარიზმსა და იმპერიალიზმს შორის არსებული შინაგანი კავშირები შეისწავლა. „სოციალური რეფორმა ან რევოლუცია“-ში (1899) მან ედუარდ ბერნშტეინისა და სხვების რევიზიონიზმი სოციალისტური პროექტის ობიექტური საფუძვლების უარყოფის გამო დაგმო.

XX საუკ. კომუნისტური დემოკრატია, ლენინისგან უფრო იყო დავალებული, ვიდრე მარქსისგან. 1917 წლის დევიზი: „ხელისუფლება - საბჭოებს“, სწორედაც რომ კომუნური დემოკრატიის მოთხოვნა იყო, ოღონდ მალე იმავე ლენინის მიერ „მუშათა კლასის ავანგარდად“ წოდებულმა კომუნისტურმა პარტიამ, თავი პროლეტარიატის ინტერესთა ჭეშმარიტ დამცველად და მარქსიზმ-ლენინიზმის მედროშედ გამოაცხადა, რაც შემდგომ უსიტყვოდ იქნა აღიარებული ყველა ორთოდოქსი კომუნისტური რეჟიმის მიერ, შესაბამისი ადგილობრივი რეალიების გათვალისწინებით. ლენინის აზრით, პარტია სხვა არაფერი იყო, თუ არა „მუშათა კლასის ავანგარდი“. მარქსიზმით შეიარაღებული პარტია ამტკიცებდა, რომ მას პროლეტარიატის ნამდვილი ინტერესების აღქმა და მისი რევოლუციური პოტენციალის რეალიზაციისკენ წარმართვა შეეძლო. ეს თეორია **„ლენინური დემოკრატიის“** ქვაკუთხედი გახდა და იგი ყველა სხვა ორთოდოქსული კომუნისტური რეჟიმის მიერ იქნა აღიარებული. მიუხედავად ამისა, ლენინური შეხედულებები დემოკრატიაზე არავითარ შემთხვევაში არ იყო საყოველთაოდ მხარდაჭერილი მარქსიზმში. მაგალითად, როზა ლუქსემბურგმა ავანგარდული პარტიის ცნება „სუბსტიტუციონიზმის“ პრობლემას დაუკავშირა, რომლის დროსაც მმართველი პარტია თავის თავს პროლეტარიატით ანაც-

ვლებს და, საბოლოო ჯამში, უზენაესი ლიდერი პარტიას საკუთარი თავით ცვლის.

ლენინური დემოკრატია: დემოკრატიის ფორმა, რომელშიც კომუნისტური პარტია („დემოკრატიული ცენტრალიზმის“ საფუძველზე ორგანიზებული) პროლეტარიატის ინტერესებს გამოხატავს.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი (1870-1924)

მარქსიზმის რუსი თეორეტიკოსი და რევოლუციონერი. ბოლშევიკების ლიდერი, ლენინი სათავეში ჩაუდგა 1917 წლის რევოლუციას რუსეთში და სსრკ-ს პირველი ხელმძღვანელი გახდა. მარქსიზმში ლენინის წვლილი - რევოლუციური ანუ ავანგარდული პარტიის თეორიაა („რა ვაკეთოთ?“ 1902), კოლონიალიზმის - როგორც ეკონომიკური ფენომენის - ანალიზი („იმპერიალიზმი - კაპიტალიზმის უმაღლესი საფეხური,“ 1916) და მისი ერთგულება ცნობილი პრინციპის მიმართ „სოციალიზმისაკენ - აჯანყების გზით“ („სახელმწიფო და რევოლუცია“ 1917). ლენინს ზოგი სტალინისტური წნეხის მამად, ზოგიც კიდევ - ბიუროკრატიის კრიტიკოსად და პოლიტიკაში ჯანსაღი კამათისა და განსჯის მომხრედ მიიჩნევს.

დემოკრატია მოქმედებაში: საპირისპირო შეხედულებები

დღემდე არ წყდება კამათი - რომელია დემოკრატიის ყველაზე სასურველი ფორმა, თუმცა თანამედროვეობისათვის უფრო მნიშვნელოვანი მაინც იმის გარკვევაა, როგორ მოქმედებს დემოკრატია რეალურად, და რას გულისხმობს „დემოკრატიზაცია“ (იხ. გვ. 120). ცხადია, რომ უკვე არსებობს დემოკრატიის ძალზე ფართო, ლამის საყოველთაოდ აღიარებული ერთი კერძო მოდელი, რასაც ზოგადად ლიბერალურ დემოკრატიას უწოდებენ. გარკვეული დაპირისპირებული ტენდენციები ამ საყოველთაო კატეგორიასაც ახასიათებს, თუმცა მისი ძირითადი ნიშან-თვისებები მაინც აშკარაა:

პლურალიზმი

ცნება პლურალიზმი ორგვარი, ფართო და ვიწრო მნიშვნელობით გამოიყენება. ფართო გაგებით, პლურალიზმი მრავალფეროვნების და სხვადასხვაგვარობის (მრავლის არსებობის) აღიარებაა; როგორც ტერმინი, პლურალიზმი პარტიებს შორის არსებულ კონკურენციის (პოლიტიკური პლურალიზმი), ზნეობრივ ფასეულობათა სხვადასხვაობის

(ზნეობითი პლურალიზმი), და კულტურულ ნორმათა განსხვავებულობის (კულტურული პლურალიზმი) აღსანიშნავად გამოიყენება. როგორც ნორმატიული ცნება, პლურალიზმი სხვადასხვაგვარობის სასურველობას გულისხმობს - იცავს პიროვნულ თავისუფლებას და განხილვას, დებატებსა და ურთიერთგაგებას უწყობს ხელს. უფრო ვიწრო გაგებით, პლურალიზმი პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილების თეორიაა, რომლის მიხედვითაც ძალაუფლება საზოგადოებაში ფართოდ და თანაბრად ნაწილდება.

- ლიბერალური დემოკრატია მმართველობის არაპირდაპირი და წარმომადგენლობითი ფორმაა, ხელისუფლება არჩევნებში მიღწეული წარმატების შედეგად ყალიბდება და პოლიტიკური თანასწორობის საფუძველზე ხორციელდება.
- ლიბერალური დემოკრატია კონკურენციისა და არჩევანის პრინციპებს ემყარება, რაც პოლიტიკური პლურალიზმის, ურთიერთშემწყნარებლობისა და საერთო თანხმობის გზით მიიღწევა. ამავე დროს, მისთვის სრულიად ბუნებრივია საპირისპირო სოციალური მოძღვრებების და მეტოქე პოლიტიკური მოძრაობებისა თუ პარტიების თანაარსებობაც.
- ლიბერალური დემოკრატია სახელმწიფოს სამოქალაქო საზოგადოებისგან მკვეთრად მიჯნავს, რაც დამოუკიდებელი ჯგუფებისა და კერძო ინტერესების არსებობითა და ეკონომიკური ცხოვრების საბაზრო პრინციპებით ორგანიზებაში გამოიხატება.
- ის უმცირესობებისა და ინდივიდების დაცვას უზრუნველყოფს, განსაკუთრებით ძირითადი უფლებების განაწილებით, რაც მათ უმრავლესობის ნებისგან იცავს.

მიუხედავად ამისა, ლიბერალური დემოკრატიის რაობისა და მნიშვნელობის თაობაზე მაინც საკმაო უთანხმოებაა: ვთქვათ, მართლა ახერხებს იგი პოლიტიკური ძალაუფლების სრულ და ფართო განაწილებას? განა ეს დემოკრატიული პროცესები მართლა შორსგამიზნულ შედეგებზეა გათვლილი, თუ მხოლოდ საკუთარი მდგომარეობის შენარჩუნებას ესწრაფვის? რამდენად შესაძლებელია პოლიტიკური თანასწორობისა და ეკონომიკური უთანასწორობის გვერდიგვერდ არსებობა? მოკლედ, დემოკრატიის ამ ფორმას სხვადასხვა თეორეტიკოსი

სხვადასხვა კუთხით განიხილავს და შემდეგ ძირითად მახასიათებლებს ჩამოთვლის:

- პლურალიზმი
- ელიტიზმი
- კორპორატიზმი
- ახალი მემარჯვენეობა
- მარქსიზმი

პლურალიზმი

პლურალისტური იდეები ადრეული ლიბერალური ფილოსოფიიდან იღებს სათავეს და უპირატესად ლოკისა და მონტესკიეს (იხ. გვ. 344) სახელებს უკავშირდება. თუმცა, სისტემურ ხასიათს ამგვარი ხედვა მაინც ჯეიმს მედისონს (იხ. გვ. 351), ცნობილი „ფედერალური ჩანაწერების“ ერთ-ერთ თანაავტორს უნდა უმადლოდეს (Hamilton et al., [1787-89] 1961). როდესაც ამერიკის არამყარი კონფედერაციის ფორმიდან, ფედერალურ პრინციპზე მოწყობილი შეერთებული შტატების მოდელზე გადასვლას ანიჭებდა უპირატესობას, მედისონს ყველაზე მეტად ე.წ. „ფრაქციულობის პრობლემა“ აშინებდა. სხვა ლიბერალთა მსგავსად, ისიც ამტკიცებდა, რომ გაუწონასწორებელი დემოკრატიული მმართველობა შესაძლოა, ბოლოს უბრალო მაჟორიტარიანიზმად (უმრავლესობის ნების დიქტატად) გადაქცეულიყო - როცა პიროვნების უფლებები გაითელებოდა და ხალხის სახელით საკუთრების ჩამორთმევის მანკიერი პრაქტიკაც დაინერგებოდა. მედისონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას საზოგადოებაში მრავალგვარი ინტერესისა და განსხვავებული ჯგუფების არსებობას ანიჭებდა - იგი თვლიდა რომ, სანამ ყოველ ამგვარ ჯგუფს საკუთარი „პოლიტიკური ხმა“ არ ექნებოდა, წესრიგისა და სტაბილურობის მიღწევა, უბრალოდ, შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, მან საზოგადოებას დანაწილებული მმართველობის (იხ. გვ. 345), ძალაუფლების გადანაწილების ორპალატიანი და ფედერალური პრინციპი (იხ. გვ. 397) შესთავაზა - რაც სახელმწიფოს მართვაში მეტი და მეტი განსხვავებული ინტერეს-ჯგუფების მონაწილეობას შეუწყობდა ხელს. ამის შედეგად შექმნილი, უმცირესობათა სიმრავლით მართული სისტემა ხშირად **„მედისონისეულ დემოკრატიად“** მოიხსენიება. რამდენადაც იგი საზოგადოებაში არსებულ მრავალფეროვ-

ნებას არა მხოლოდ აღიარებს, არამედ მიესალმება კიდეც, მედისონის მოდელი, ფაქტიურად, პლურალისტური პრინციპების პირველი სერიოზული განაცხადია.

მედისონისეული დემოკრატია: დემოკრატიის ფორმა, რომელიც უმცირესობებისთვის კონსტიტუციურ დაცვას უზრუნველყოფს, რაც მათ საშუალებას აძლევს, უმრავლესობის მმართველობას წინააღმდეგობა გაუწიონ.

პლურალისტური დემოკრატია

ცნება პლურალისტური დემოკრატია ხშირად ლიბერალური დემოკრატიის სინონიმად გამოიყენება - იმგვარი დემოკრატიული სისტემის აღსანიშნად, რომელიც პოლიტიკურ პარტიათა შორის საარჩევნო კონკურენციას ეფუძნება. უფრო ზუსტად, ეს ცნება დემოკრატიის იმ ფორმას გულისხმობს, რომელიც საზოგადოების მოთხოვნების გასახმოვანებლად და მთავრობის ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, ორგანიზებული ინტერეს-ჯგუფების პოტენციალს იყენებს. ჯანსაღი პლურალისტური დემოკრატიის პირობებია: 1. კონკურენტულ ჯგუფებს შორის პოლიტიკური ძალაუფლების ფართოდ გადანაწილება. 2. შიდა ანგარიშვალდებულების მაღალი დონე, ჯგუფის ლიდერების ანგარიშვალდებულება წევრთა წინაშე. 3. მიუკერძოებელი სახელმწიფო მანქანა, საკმარისად დანაწევრებული საიმისოდ, რათა ქვეყნის მართვის პროცესზე ინტერეს-ჯგუფებსაც რაც შეიძლება მეტად მიუწვდებოდეთ ხელი.

პლურალისტური თეორიის ყველაზე გავლენიანი თანამედროვე მიმდევარი რობერტ დალია (იხ. გვ. 275), რომელიც თავის წიგნში „ვინ მართავს? დემოკრატია და ძალაუფლება ამერიკულ ქალაქებში“ (1961), შეეცადა - კონექტიკუტის შტატის ქალაქ ნიუ-ჰეივენის მაგალითზე - ემპირიულად შეესწავლა, მუნიციპალურ დონეზე როგორ გადანაწილდება ძალაუფლება და დაასკვნა: პოლიტიკურად პრივილეგირებულ და ეკონომიკურად წელგამართულ წრეებს, ჩვეულებრივ მოქალაქეებთან შედარებით მეტი ძალაუფლება კი აქვთ, მაგრამ პოლიტიკურ პროცესებზე ბატონობის შესაძლებლობა არც ერთ მმართველ თუ ტრადიციულ ელიტას არ გააჩნიაო. მისი დასკვნით, „ნიუ-ჰეივენი - დემოკრატიის შუქურაა, თავის ყველა ნაკლითა და ღირსებით“. დალი კარგად

აცნობიერებდა, რომ თანამედროვე დემოკრატიული სისტემები ანტიკური საბერძნეთის კლასიკური დემოკრატიებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან და მან ჩარლზ ლინდბლომთან ერთად, ტერმინი „პოლიარქია“ (იხ. გვ. 117) მოიგონა, რითაც მრავალთა მმართველობა საერთო-სამოქალაქო მმართველობისგან გამიჯნა. პლურალისტური დემოკრატიის ამგვარი წყობის მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ არჩევნების დროს, პარტიათაშორისი ქიშპი და სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფთა უფლება, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი ნება, ხელისუფლებასა და მართულთა შორის თავისებურ ხიდს დებს. მართალია, ეს შეიძლება სახალხო თვითმმართველობის იდეალისგან ძალიანაც შორს იდგეს, მისი მომხრეები მაინც ამტკიცებენ - მსგავსი მოდელი ანგარიშვალდებულების საკმაოდ მაღალ ხარისხს შეიცავს და მმართველობაში ხალხის თანამონაწილეობის თვალსაზრისითაც, თამამად შეიძლება, სრულად დემოკრატიულად ჩაითვალოსო.

თუმცა ერთი რამ ცხადია - ამ შემთხვევაში პლურალიზმი და დემოკრატია ერთმანეთთან სრულ ჰარმონიაში ვერ იმყოფებიან. მაგალითად, მედისონისეული სისტემის ერთი საკამათო მიზანთაგანი, შესაძლოა, დემოკრატიის მოთოკვაც იყო, საკუთრების დაცვის საბაბით; ანუ იმის შიშით, ჭრელი უმცირესობის მმართველობა, შესაძლოა, საბოლოო ჯამში, უმრავლესობის (არამესაკუთრე მასების) პოლიტიკურად თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებას მომსახურებოდა. გარდა ამისა, კიდევ ერთი პრობლემა ე.წ. „პლურალისტური უძრაობის“ საფრთხეცაა: იგი მაშინ იჩენს თავს, როცა ორგანიზებული ჯგუფები და ეკონომიკური ინტერესები იმდენად ძლიერდება, რომ ყველას მორიგება აღარ ხერხდება და ხელისუფლებასაც თავგზა ებნევა. მსგავს ვითარებაში პლურალისტური სისტემა შესაძლოა, უბრალოდ, უმართავიც გახდეს. თავის გვიანდელ ნაშრომში - „ეკონომიკური დემოკრატიის შესავალი“ (1985) დალიც იმას ამტკიცებს, ეკონომიკური რესურსების უთანაბრო ფლობის პირობებში, პოლიტიკური ძალაუფლებაც უმცირესობის ხელში ხვდება, უმრავლესობა კი თამაშგარე მდგომარეობას უნდა დასჯერდესო. არგუმენტის ეს ხაზი პლურალისტური დემოკრატიის კონვენციური მარქსიზმის კრიტიკის პარალელურად გადის, და მან ნეო-პლურალიზმის (იხ. გვ. 63) აღზევებას შეუწყო ხელი.

ელიტისტური ხედვა

ელიტიზმი (იხ. გვ. 104) ისეთი ეგალიტარული იდეების კრიტიკის შედეგად ჩამოყალიბდა, როგორიც დემოკრატია და სოციალიზმია. მისთვის მთავარია ელიტარული წესრიგი და არა სოციალურ დახმარებებზე აგებული მძიმე ყოფა. პირველი ელიტისტები - ვილფრედო პარეტო (1848-1923), გაეტანო მოსკა (1857-1941) და რობერტ მიხელსი (1876-1936), სწორედაც იმ თვალსაზრისს იზიარებდნენ - მათთვის დემოკრატია სულელური ზღაპარი იყო, რადგან პოლიტიკურ ძალაუფლებას, როგორ წესი, პრივილეგირებული უმცირესობა, ანუ ელიტა ფლობს. მაგალითად, მოსკა თავის „მმართველ კლასში“ (1896) ამტკიცებდა, - ნებისმიერ საზოგადოებაში ჩნდება ადამიანთა ორი კლასი: ერთი მართავს, მეორე კი მუდამ მართულიაო. მისი აზრით, მმართველობისთვის აუცილებელი რესურსები და საშუალებები მუდამ უთანაბროდაა განაწილებული და ერთ მუშტად შეკრული უმცირესობა, თვით საპარლამენტო დემოკრატიის პირობებშიც კი, ყოველთვის მოახერხებს მასების მართვასა და გაკონტროლებას. თავის მხრივ, პარეტო მართვისთვის საჭირო ორ ფსიქოლოგიურ ტიპს გამოყოფდა: „მელიებს“ (ვინც ეშმაკობით ცდილობს მასების მოთაფვლას და თავის ჭკუაზე ტარებას) და „ლომებს“ (ვინც იძულებითა და ძალადობით ამყარებს საკუთარ ბატონობას); რაც შეეხება მიხელსს, მისი აზრით, ნებისმიერ ორგანიზაციას, თუნდაც ერთი შეხედვით დემოკრატიულს, ძალაუფლების მცირე ჯგუფის ხელში თავმოყრა ახასიათებს, რასაც იგი „ოლიგარქიის რკინის კანონს“ (იხ. გვ. 256) უწოდებს.

კლასიკური ელიტისტური თეორიების მიხედვით, დემოკრატია ყოველთვის მითად რჩებოდა, თანამედროვე თვალსაზრისით კი ელიტისტები ცდილობენ აჩვენონ, რამდენად დაშორდა ესა თუ ის პოლიტიკური სისტემა დემოკრატიულ იდეალს. ამის კარგ მაგალითს ჩარლზ რაიტ მილზი თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „სახელისუფლო ელიტა“ (1956) იძლევა. ძალაუფლების დემოკრატიული, ფართო გადანაწილების პლურალისტური პრინციპის საპირისპიროდ, მილზი შეერთებულ შტატებში ძალაუფლების კონცენტრაციას რამდენიმე დაწინაურებული ჯგუფის ხელში ხედავდა. მისი თვალსაზრისით, სახელისუფლო ელიტას დიდი ბიზნესის (ძირითადად თავდაცვის ინდუსტ-

რიის), სამხედრო ძალების და პრეზიდენტის უშუალო პოლიტიკური გარემოცვის ტრიუმვირატი ქმნის: ეკონომიკური ძალაუფლების, ბიუროკრატიული ბერკეტებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების კონტროლის გზით, სახელისუფლებო ელიტას შეუძლია „ისტორიული“ გადაწყვეტილებები მიიღოს, კერძოდ, თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის სფეროში და ამავე დროს, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა სტრატეგიულად განსაზღვროს. თუკი ეს ასეა, მსგავსი ელიტის არსებობა ფაქტიურად, შეერთებულ შტატებში ლიბერალური დემოკრატიის მოჩვენებითობას ნიშნავს. ელიტისტებს თუ დავუჯერებთ, დალის ემპირიული კვლევებიც იმიტომ იძლეოდა პლურალიზმის სასარგებლო დასკვნის საფუძველს, რომ ე.წ. „ბლოკირების ტაქტიკას“, როგორც ძალაუფლების გამოვლინებას საერთოდ არ ითვალისწინებდა (იხ. გვ. 9).

თუმცა, ზოგიერთი ელიტისტი-თეორეტიკოსი მაინც მიიჩნევს, რომ დემოკრატიული ანგარიშვალდებულების გარკვეული ხარისხი ელიტარული წესრიგისთვისაც სავსებით მისაღებია. მართალია, ელიტარული ძალაუფლების მოდელი ელიტას საერთო თუ მსგავსი ინტერესებით გამთლიანებულ ერთ ორგანიზმად სახავს, კონკურენტული ელიტიზმი (ზოგჯერ დემოკრატიულ ელიტიზმადაც რომ მოიხსენიება) მაინც ელიტათა დაპირისპირების (იხ. ნახ. 4.1) უდიდეს მნიშვნელობას წარმოაჩენს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, რამდენიმე კონკურენტული ჯგუფის მთავარი ფიგურებისგან შემდგარი ელიტა, პრინციპში არაერთგვაროვანია. მსგავსი შეხედულება ხშირად გვაგონებს იოზეფ შუმპეტერის (იხ. გვ.224) ნაშრომში „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“ (1942) წარმოდგენილ „რეალისტურ“ მოდელს:

„დემოკრატიის მეთოდი ინსტიტუციონალური გზით პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში მდგომარეობს, როცა პიროვნებებს მინიჭებული აქვთ უფლება, ნებისმიერი დავა ამომრჩეველთა ხმებისთვის ბრძოლის საშუალებით მოაგვარონ.“

ამომრჩეველს მხოლოდ ის შეუძლია გადაწყვიტოს, რომელმა ელიტამ მართოს, თუმცა ვერსად გაექცევა ფაქტს, რომ ძალაუფლება მუდამ ამა თუ იმ ელიტის ხელში დარჩება. კონკურენტული ელიტიზმის ეს მოდელი ენტონი დაუნსმა (1957) „დემოკრატიის ეკონომიკურ თეორი-

ად“ გარდასახა: სინამდვილეში, საარჩევნო კონკურენცია იგივე პოლიტიკური ბაზარია, სადაც პოლიტიკოსები ძალაუფლების ხელში ჩაგდების მოსურნე მეწარმეები არიან, ცალკეული ამომრჩევლები კი - მომხმარებლები, და ისინი მათთვის სასურველ პოლიტიკას „ყიდულობენ“ ამა თუ იმ პარტიისგანო. ღია და კონკურენტული არჩევნების სისტემა, იგივე დაუნსის აზრით, დემოკრატიული მმართველობის გარანტიაა: ძალაუფლებას ის პარტია იღებს, რომლის ფილოსოფიაც, ღირებულებებიცა და პროგრამაც ამომრჩეველთა ყველაზე ფართო ფენების მოთხოვნებს აკმაყოფილებს. შუმპეტერის თქმით, „დემოკრატია - პოლიტიკოსების მმართველობაა“. როგორც დემოკრატიული პოლიტიკის მოდელს, კონკურენტულ ელიტიზმს ერთი ღირსებაც გააჩნია: ის საკმაოდ უახლოვდება ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მეთოდებს. მართლაც, იგი უფრო დემოკრატიული პროცესის მოქმედების აღწერის ცდაა, ვიდრე გარკვეულ ღირებულებათა ან პრინციპთა რეცეპტის გამოწერის სურვილი - პოლიტიკური თანასწორობა იქნება ეს, მმართველობაში ხალხის თანამონაწილეობა თუ სულაც, პიროვნული თავისუფლება.

ელიტიზმი

თავდაპირველად ცნება ელიტა უმაღლესის, საუკეთესოს, ჩინებულის მნიშვნელობით იხმარებოდა. თუმცა, სხვა გაგებით, „ელიტა“ იმ უმცირესობას აღნიშნავს, რომლის ხელშიაც ძალაუფლება, პრივილეგიები და სიმდიდრეა მოქცეული. რაც შეეხება ელიტიზმს, თავისი რწმენით ის უმცირესობის ან ელიტის მმართველობას აღნიშნავს. ნორმატიული ელიტიზმი ვარაუდობს, რომ პოლიტიკური ძალაუფლება განათლებული უმცირესობის ხელში უნდა იყოს. კლასიკური ელიტიზმი აცხადებს, რომ ის ემპირიულია და ელიტარულ მმართველობას სოციალური არსებობის უცვლელ ფაქტად ხედავს. თანამედროვე ელიტიზმიც ემპირიულია, მაგრამ ელიტის მმართველობის მიზეზთა მიმართ ის უფრო კრიტიკულია.



კორპორატისტული ხედვა

კორპორატიზმის (იხ. გვ.276) სათავე ფაშისტურ იტალიაშია საძიებელი, სადაც მართვის პროცესში როგორც მენეჯერების, ისე მუშების ჩართვით, ე.წ. „კორპორატიული სახელმწიფოს“ მოწყობა სცადეს. რაც შეეხება **ნეოკორპორატიზმს,** ანუ ლიბერალურ კორპორატიზმს, მან ე.წ. „სამწვეროვან“ მმართველობას მისცა ბიძგი, როცა სახელმწიფო იმგვარად იმართება, რომ მოხელეების, ბიზნესმენებისა და პროფესიული გაერთიანებების ერთმანეთში უშუალო ურთიერთქმედებას უწყობს ხელს. ზოგადად, სახელმწიფოს მართვაში ეკონომიკური ინტერესების შემოტანა (ეს II მსოფლიო ომის შემდგომი შვედეთის, ნორვეგიის, ჰოლანდიისა და ავსტრიისთვის იყო დამახასიათებელი), აქცენტების ეკონომიკურ მართვაზე გადატანას ნიშნავდა. რამდენადაც ხელისუფლება ეკონომიკური ცხოვრების გაძღოლასა და სულ უფრო და უფრო მეტი სოციალური პროგრამების განხორციელებას ისახავდა მიზნად, იძულებული ხდებოდა უმთავრეს ეკონომიკურ „მოთამაშეებთან“ თანამშრომლობისა და თანაარსებობის გარკვეული წესები დაემყარებინა.

იქ, სადაც ეკონომიკური პოლიტიკის სახელმწიფო ჩარევისგან დაცვა სცადეს და გეზიც თავისუფალი ბაზრისკენ აიღეს (როგორც დიდ ბრიტანეთში 1979 წ.), კორპორატიზმის გავლენა აშკარად შესუსტდა.

ნეოკორპორატიზმი: ტენდენცია, რომელიც დასავლურ პოლიარქიებში შეინიშნება: გულისხმობს ორგანიზებულ ინტერეს-ჯგუფთათვის პრივილეგიების მინიჭებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინსტიტუციურ მონაწილეობას.

დემოკრატიული პროცესების თვალსაზრისით, კორპორატიზმის მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. ასე მაგალითად, ბრიტანული „ამქრული სოციალიზმის“ წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ სწორედ კორპორატიზმი უწყობს ხელს ჯგუფური წარმომადგენლობითობის გაჩენას, როდესაც პიროვნების შეხედულებები და ინტერესები არა კონკურენტული არჩევნების მექანიზმის მეშვეობით ვლინდება, არამედ მათი გამომხატველი ის ვიწრო ჯგუფი ხდება, რომელსაც ეს პიროვნება მიეკუთვნება. შესაბამისად, ე.წ. „კორპორატიული პლურალიზმი“ ზემოხსენებულ სამწევრიანობას იმგვარ მექანიზმად მიიჩნევს, რაც საზოგადოების ძირითად ინტერეს-ჯგუფებს უკვე სახელისუფლებო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში ეხმარება. ოღონდ ეგეცაა, მკვლევართა უმეტესობა კორპორატიზმში, უმთავრესად, დემოკრატიისთვის არსებულ საფრთხეს ხედავს. უპირველეს ყოვლისა, კორპორატიზმი მხოლოდ იმ პრივილეგირებულ ჯგუფებს ეყრდნობა, რომელთაც მმართველობაზე მიუწვდებათ ხელი. პოლიტიკური ხმა მხოლოდ „შინაურებს“ ეძლევათ, ხოლო „უცხონი“ განზე რჩებიან. მეორეც, კორპორატიზმი ხელისუფლების სასარგებლოდ უფრო მუშაობს, ვიდრე ეკონომიკის ასაყვავებლად, ანუ სახელმწიფოს მიერ შერჩეულ **ფავორიტ-ჯგუფებს,** ხელისუფლების იმედით, შეუძლიათ საკუთარ რიგებში მკაცრი წესრიგი დაამყარონ და რადიკალური მოთხოვნებიც ძირშივე აღმოფხვრან. და ბოლოს, კორპორატიზმი არჩევითი თუ საპარლამენტო დემოკრატიის დამხობის საფრთხესაც შეიცავს. პოლიტიკა ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მძლავრი ეკონომიკური დაჯგუფებების მოთავეთა ურთიერთგარიგების შედეგად „კეთდება“ და წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებებს დიდი ყურადღება აღარც ექცევა. ამგვარად, ინტერეს-ჯგუფების გავლენა პოლიტიკური ძალაუფლების ტოლფასი ხდება, თუნ-

დაც ისინი, თანამდებობრივად მაინც, საერთოდ არ იყვნენ საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულნი.

ფავორიტ-ჯგუფები: ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც მთავრობა საქმიანი წრეების ან მუშების ძირითადი თუ საერთო ინტერესების გამომხატველად აღიარებს.

ახალი მემარჯვენეობის ხედვა

XX საუკ. 70-იანი წწ. დღემდე, ახალი მემარჯვენეობა დემოკრატიულ პოლიტიკას მეტად თავისებურად აკრიტიკებს, ხოლო მისდამი შიშს ე.წ. ჭარბი დემოკრატიის საფრთხე იწვევს: ანუ პოლიტიკური სისტემის დამბლა, რაც შესაძლოა, ამა თუ იმ მოუთოკავი ჯგუფის ქმედებისა თუ მთლიანად საარჩევნო წნეხის შედეგად მოხდეს. ამავე დროს, ახალი მემარჯვენეობის თეორეტიკოსები თავისუფალი ბაზრის მხურვალე მხარდამჭერებად გვევლინებიან, რადგან სჯერათ, რომ ეკონომიკა ყველაზე უკეთ მაშინ მუშაობს, როცა მასში ხელისუფლება არ ერევა. ამ თვალსაზრისით, კორპორატიზმის საფრთხე ცალკეული ეკონომიკური ინტერეს-ჯგუფებისთვის „სასათბურე“ მდგომარეობის შექმნაა, რაც მათ საშუალებას აძლევს, ხელისუფლებისგან სხვადასხვა პრივილეგიები მოითხოვონ. სინამდვილეში, რეალურ ძალაუფლებას უკვე ეს ჯგუფები იგდებენ ხელში და საკუთარი პირობების კარნახს იწყებენ. ახალი მემარჯვენეობის შეხედულებით, ყოველივე ამას ეკონომიკაში ხელისუფლების უფრო მეტი ჩარევისკენ და საბოლოო ჯამში, სტაგნაციისკენ მივყავართ (Olson, 1984).

„ჭარბი“ მმართველობა შეიძლება საარჩევნო პროცესის შედეგიც იყოს: სწორედ ამგვარ ვითარებას უწოდა ბრიტანმა (1977) „დემოკრატიის ეკონომიკური გამოძახილი“. ამ თვალსაზრისის თანახმად, საარჩევნო პოლიტიკა თვითგამანადგურებელი პროცესია, როცა ხელისუფლებას მოწყურებული პოლიტიკოსები, ერთმანეთის ჯიბრით, სულ უფრო და უფრო არარეალურ დაპირებებს სთავაზობენ ამომრჩეველს. თუმცა, ამ დროს ორივე მხარე ტყუის: ამომრჩეველი ანწუხზე ეგება, „ეშხში შესული“ პოლიტიკოსები კი ელექტორატს უფრო დიდი ხარჯების გაწევას პირდებიან. ამ შემთხვევაში, ბრიტანს თუ დავუჯერებთ, მოუთოკავი დემოკრატიის ეკონომიკური შედეგი ინფლაციის მაღალი ხარისხი და ის საგადასახადო ტვირთია, რაც წარმოებას ანგრევს და ეკონომი-

კურ ზრდას მნიშვნელოვნად აფერხებს. ოღონდაც, მარკანის (1988) თქმით, ახალ მემარჯვენეობას დემოკრატიაზე მეტად თავისებური შეხედულება აქვს: მათთვის ის იგივეა, რაც ბავშვისთვის შოკოლადი - მუდამ სასურველი და მცირე დოზებით - უვნებელიც, დიდით კი - შხამი. ამდენად, ახალი მემარჯვენეობის თეორეტიკოსები დემოკრატიას მკაცრად დამცველ ფუნქციას ანიჭებენ: მასში უფრო ხელისუფლების შეზღუდვის საშუალებას ხედავენ, და არა სოციალური გარდაქმნების მამოძრავებელ ძალას.

მარქსისტული ხედვა

რაც შეეხება მარქსისტებს, ისინი დემოკრატიულ პოლიტიკას ისევ და ისევ კლასობრივ სარჩულს უდებენ. მათი აზრით, პოლიტიკური ძალაუფლება არ შეიძლება საარჩევნო უფლების ან განსხვავებული ჯგუფების მიერ საკუთარი ინტერესების სხვადასხვა გზით გამოხატვის შესაძლებლობამდე დავიყვანოთ. მარქსიზმი პოლიტიკური ძალაუფლების გამოხატულებას ეკონომიკური ძალაუფლების განაწილებაში, კერძოდ - წარმოებული საქონლის უთანასწორო ფლობაში ხედავს. ლიბერალურ დემოკრატიასაც დემოკრატიისა და კაპიტალიზმის მუდმივი შეუთავსებლობის პრიზმიდან აკრიტიკებს: ტოლობის ნიშანს ვერ სვამს ლიბერალურ-დემოკრატიულ პოლიტიკურ თანასწორობასა და კაპიტალისტური ეკონომიკისთვის დამახასიათებელ სოციალურ უთანასწორობას შორის. ლიბერალური დემოკრატია მისთვის „კაპიტალისტური“, ანუ „ბურჟუაზიული“ გამოვლინებაა, სადაც მხოლოდ **მმართველი კლასის** ნებაა განმსაზღვრელი.

მმართველი კლასი: იმ კლასის აღმნიშვნელი მარქსისტული ცნება, რომელიც საწარმოო საშუალებების ფლობის წყალობით სხვა დანარჩენ კლასებზე და ზოგადად საზოგადოებაზეც დომინირებს.

მარქსიზმი პლურალისტური დემოკრატიის აშკარა კრიტიკას წარმოადგენს. ის საზოგადოებაში ძალაუფლების ფართოდ და სამართლიანად განაწილებას შეუძლებლად მიიჩნევს, რადგან თავად კლასთა უფლებებია უთანასწორო. ბევრ რამეში მარქსიზმი პლურალიზმის ელიტისტურ კრიტიკას ემთხვევა. ორივეს აზრით, საბოლოოდ მთელი ძალაუფლება მცირე ჯგუფების ხელში იყრის თავს, ოღონდ თუ ერთისთვის ეს ჯგუფი „ძალაუფლებით აღჭურვილი ელიტაა“, მეორე მას

„მმართველ კლასს“ უწოდებს. თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობაც - ჯერ ერთი, ელიტისტები ამტკიცებენ, რომ ძალაუფლება შეიძლება რამდენიმე წყაროდან მომდინარეობდეს (განათლება, სოციალური სტატუსი, თანამდებობრივი მდგომარეობა, პოლიტიკური კავშირები, სიმდიდრე, და ა.შ.); მარქსისტები კი, უმთავრესად ეკონომიკურ ფაქტორებზე ამახვილებენ ყურადღებას - ძირითადად წარმოების საშუალებებზე, საკუთრებაზე და მათ კონტროლზე. რაც შეეხება თანამედროვე **ევროკომუნისტებს,** მათ რევოლუციის იდეა უარყვეს და ახლა სოციალიზმზე მშვიდობიან გადასვლას ქადაგებენ.

ევროკომუნიზმი: კომუნიზმის „შერბილებული“ ფორმა, რომელიც მარქსიზმის ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპებით „გაზავებას“ ისახავდა მიზნად.

კოსმოპოლიტური დემოკრატიისკენ?

კოსმოპოლიტური დემოკრატიის იდეამ გლობალიზაციის წინსვლისა და დემოკრატიული პროცესების აშკარა განვითარების გამო მზარდი ყურადღება მიიპყრო. თუ გლობალური ურთიერთკავშირები ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკის შემუშავების უფლებამოსილებამ ეროვნული მთავრობებიდან საერთაშორისო ორგანიზაციებზე გადაინაცვლა, მაშინ დემოკრატია ამის შესაბამისად უნდა გადაკეთდეს? ისმის კითხვა, როგორი იქნებოდა კოსმოპოლიტური დემოკრატია და როგორ იმუშავებდა ის პრაქტიკაში? ამ კუთხით, ორი ძირითადი მოდელია დაწინაურებული. პირველი მსოფლიო პარლამენტის მშენებლობას მოიცავდა, ორგანოს, რომლის როლიც გლობალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მეტი კონტროლი და გახსნილობა იქნებოდა. მხედველობაშია გაერო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ა.შ. ასეთი იდეის მხოლოდ ცოტა მომხრე თუ ფიქრობს სრულფასოვანი მსოფლიო მთავრობის ან გლობალური სახელმწიფოს შექმნაზე. სამაგიეროდ, უმეტესობა პოსტ-სუვერენული მმართველობის მრავალდონიან სისტემას უჭერს მხარს, რომელშიც არც ერთ ორგანოს ან დონეს შეუძლია საბოლოო უფლებამოსილების განხორციელება. ჰელდმა (1995) ზომათა პაკეტი, მათ შორის, „გლობალური პარლამენტის“, რეფორმირება და უფრო ანგარიშვალდებული საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნა შემოგვთავაზა. მონბიომ (2004), თა-

ვის მხრივ, ხალხის მიერ არჩეული მსოფლიო პარლამენტის იდეას დაუჭირა მხარი, რომელიც 600 წარმომადგენლისგან (10 მილიონი ადამიანის რჩეულნი) იქნებოდა დაკომპლექტებული.

გლობალური სამოქალაქო საზოგადოება

გლობალური სამოქალაქო საზოგადოება ისეთ სახელმწიფოს ეხება, რომელშიც ტრანსნაციონალური არასამთავრობო ჯგუფები და ასოციაციები ურთიერთობენ. ასეთი ჯგუფები, როგორც წესი, მოგებაზე არაორიენტირებულნი არიან (იხ. გვ. 168). მიუხედავად ამისა, ტერმინი, „გლობალური სამოქალაქო საზოგადოება“ საკმაოდ კომპლექსური და სადავოა. „აქტივისტური“ ვერსიით, ტრანსნაციონალური სოციალური მოძრაობები გლობალური სამოქალაქო საზოგადოების მთავარი აგენტები არიან, რაც მას „საგარეო“ ელფერს ანიჭებს და კოსმოპოლიტურ იდეალებზე ძლიერ ფოკუსს ახდენს. მისი „პოლიტიკური“ ვერსიის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციები გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი აგენტები არიან, რაც მას „საშინაო“ ელფერს ანიჭებს და გლობალურ მმართველობას ემთხვევა (იხ. გვ. 449).

კოსმოპოლიტური დემოკრატიის ალტერნატიული მოდელი ნაკლებად ამბიციური და ფორმალიზებულია, ახალი ორგანოების მშენებლობას ნაკლებად, ხოლო არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების რეფორმირებას უფრო ეყრდნობა, რაც ხშირად გლობალური სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებასთანაა დაკავშირებული. ამ მოდელს არასამთავრობო ორგანიზაციების (იხ. გვ.273) სჯერა, გლობალური ძალაუფლების ხელახალი კონფიგურაციის მიზნით. „ქვემოდან“ წამოსული გლობალიზაციის ეს იდეა ცივილიზებული მსოფლიო წესრიგის „ქვემოდან-ზემოთ“ ხედვას წარმოადგენს. ეს მიდგომა ეფექტური იმ გაგებითაა, რამდენადაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ტრანსნაციონალურმა სოციალურმა მოძრაობებმა შესაძლოა საერთაშორისო ორგანოების, კონფერენციებისა და სამიტების მუშაობაში საზოგადოებრივი კონტროლისა და ანგარიშვალდებულების ელემენტები შეიტანონ, რაც იმას ნიშნავს, რომ გლობალური სამოქალაქო საზოგადოება ინდივიდუალურ და გლობალურ ინსტიტუტებს შორის როგორც კომუნიკაციის არხი, ისე ფუნქციონირებს.

მიუხედავად ამისა, კოსმოპოლიტური დემოკრატიის პერსპექტივები „აყვავებისგან“ შორსაა. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოები და განსაკუთრებით, ძირითადი სახელმწიფოები, სავარაუდოდ, გლობალური დემოკრატიისკენ მიმართულ ნებისმიერ ტენდენციას დაბლოკავენ ან უზრუნველყოფენ, რომ ნებისმიერი „ალტერნატიული ორგანო“, რომელიც შესაძლოა შეიქმნას, სანდოობას იქნება მოკლებული და გლობალური გადაწყვეტილებებისადმი პერიფერიული დარჩება. უფრო ფართო გაგებით, კოსმოპოლიტური დემოკრატიის იდეაში ნაგულისხმევი თანასწორობა არსებული გლობალური სისტემის ღრმა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო უთანასწორობას უბრალოდ არ შეესაბამება. კოსმოპოლიტურ დემოკრატიაზე გადასვლასთან დაკავშირებული დაბრკოლებების გარდა, კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ თავად პროექტი შესაძლოა არასწორად იყოს აღქმული. უპირველეს ყოვლისა, ნებისმიერი გლობალური ინსტიტუტი, როგორც არ უნდა იყოს სტრუქტურირებული და შედგენილი, წარუმატებლობისთვისაა განწირული. დემოკრატიას, ამ კუთხით, მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ ის ადგილობრივი ან ეროვნულია და ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია (რეგიონული თუ გლობალური) “დემოკრატიული დეფიციტის“ გამო დასუსტებისთვისაა განწირული. მეორე, არასამთავრობო ორგანიზაციათა ფასეულობები და ამ მხრივ, სოციალური მოძრაობები შესაძლოა ყალბნი იყვნენ. ფართო წევრობა, ერთგული აქტივიზმი და სახალხო პროტესტისა და დემონსტრაციების მობილიზების უნარი სოციალურ მოძრაობებს, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებს პოლიტიკურ გავლენას ანიჭებს, მაგრამ ისინი ამ ღირებულებებს დემოკრატიულ ავტორიტეტში არ აბანდებენ. ფართო მოსახლეობის წინააღმდეგ მათი შეხედულებების გავლენის შემოწმების გზა, უბრალოდ არ არსებობს.

კითხვები განსასჯელად

1. რატომ სჭირდება ძალაუფლებას ლეგიტიმაცია?
2. კაპიტალისტური საზოგადოებები აუცილებლად ლეგიტიმაციის კრიზისისკენ არიან მიდრეკილნი?
3. რა კავშირია პოპულიზმსა და დემოკრატიას შორის?
4. არის თუ არა დემოკრატიული ლეგიტიმაცია ლეგიტიმაციის ერთადერთი მნიშვნელოვანი ფორმა?
5. როგორ და რამდენად იკლებს დემოკრატიის უნარი ლეგიტიმაციის მიწოდების საქმეში?
6. შეესაბამება თუ არა ხალხის მმართველობა ხალხისთვის მმართველობის ცნებას?
7. მოდის თუ არა პირდაპირი დემოკრატია თანამედროვე პირობებთან შესაბამისობაში?
8. გაზვიადებულია თუ არა დემოკრატიის ღირსებები?
9. რით განსხვავდება კლასიკური და დამცავი დემოკრატია?
10. დემოკრატიის რომელი მოდელია ყველაზე მიმზიდველი და რატომ?
11. იმსახურებენ თუ არა წარმომადგენლობითი დემოკრატიის თანამედროვე ფორმები დემოკრატიულ აღწერას?
12. უნდა მოიცავდეს თუ არა დემოკრატიული სისტემები უმცირესობათა უფლებების გარანტიებს?
13. რა წარმოადგენს დემოკრატიისთვის ძირითად საფრთხეს თანამედროვე საზოგადოებაში?
14. კოსმოპოლიტური დემოკრატია შესაძლებელია თუ სასურველი?

დამატებითი საკითხავი

დამატებით რესურსებზე წვდომის მიზნით ეწვიეთ შემდეგ ბმულს: https://www.bloomsburyonlineresources.com/politics-5e

თარგმანი: ლადო გრძელიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი